[illegible] სახ. კომისართა საბჭო
[illegible]
კომპლექტი

ყოველი ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—68

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დაწესებულებებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებანი: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ხუთშაბათი, 9 აპრილი 1925 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 80 (1235)

დღიური

— ტოკიოში (იაპონია) დაიწყო კომუნისტების გასამართლება.
— პოლონეთში მკაცრი ცენზურა შემოიღეს.
— პოლონეთის კომპარტიამ [illegible] ვ. ციკას.
— ჩეხო-სლოვაკიის სამთო-მადნო მუშათა გაფიცვა დამარცხდა მენშევიკების მოღალატეობის გამო.
— ნახიჩევანში დაიწვა ბამბის საწმენდი ქარხანა.

ამიერ-კავკასიის
მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოთა მესამე ყრილობა
გაიხსნება თბილისში
1925 წლის 10 აპრილს

დღის წესრიგი:
1. ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენება—მომხსენებელი ამხ. **მ. ორახელაშვილი.**
2. 1925—1926 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ—მომხსენებელი ამხ. **მ. დ. ჰუსეინოვი.**
3. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობის და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის შესახებ—ამხ. **კ. ჩხენკელი.**
4. ა.-კ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციის დამტკიცება—მომხსენებელი—**ა. შავერდოვი.**
5. წითელი არმიის შესახებ—მომხსენებელი ამხ. **ა. კორკი.**
6. ამიერ-კავკასიის ცაკის არჩევნები.
7. საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა.
8. მიმდინარე საქმეები.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი **ა. შავერდოვი.**

სრულიად საქართველოს საბჭოების მესამე ყრილობა
(შთაბეჭდილებები)

მე მინდა ორიოდე სიტყვით გამოვთქვა მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილებები, ის შთაბეჭდილებები, რომლებიც პირადათ ჩემზე მოახდინა სრულიად საქართველოს საბჭოების მესამე ყრილობამ. მხედველობაში მაქვს განსაკუთრებით ის კამათი და ის კრიტიკა, რომელიც ამ ყრილობის სხდომებზე მთავრობის მოხსენების ირგვლივ გაიმართა.

ამ კამათს მოუნდა მთელი სამი სხდომა. ილაპარაკა ორმოცამდე ორატორმა. ლაპარაკობდენ მაზრებიდან, მიყრუებული კუთხეებიდან და სოფლებიდან: სვანეთიდან, ხევსურეთიდან, აჭარისტანიდან, აფხაზეთიდან, ოსეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, კახეთიდან, ქართლიდან, ბორჩალოდან, ჯავახეთიდან. არ დარჩენილა ისეთი კუთხე, მაზრებს რომ თავი დავანებოთ, რომ მის ჭირ-ვარამზე იქ არა თქმულიყო რამე. ლაპარაკობდენ თავისუფლად, აუღელვებლად, დალაგებით. არც ერთი განმეორება, არც ერთი მეტი სიტყვა. ლაპარაკობდენ, ვისაც როგორ ეხერხებოდა: ქართულად, რუსულად, აფხაზურად, თათრულად, სვანურად, სომხურად, ოსურად და მეგრულად. თათრულად, აფხაზურად სვანურად წარმოთქმული ნათქვამი იქვე ითარგმნებოდა. ახლა გკითხოთ: ვინ იყვნენ ეს ორატორები? დიდი უმეტესობა იმათგანი იყვნენ გლეხები ან მუშები. ორატორებში ერივნ ქალებიც. როგორი-ღა იყო იმათი სიტყვები?

აი რა არის ყველაზე უფრო საინტერესო? უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ მე არასოდეს არ მოველოდა, რომ ჩვენ ყრილობაზე გამოჩნდებოდა ასეთი მოლაპარაკე ხალხი, ნამდვილი ბუნებრივი ორატორები, მჭერმეტყველები. შეიძლება ითქვას, რომ აქ ამეტყველდა ჩვენი მშრომელი მასსა, მან ამოიღო ხმა, მან გადაგვიშალა თავისი გული, გვიჩვენა თავისი გულის ტკივილი და თავისი სულისკვეთება. იმათმა ლაპარაკმა, იმათმა მსჯელობამ, იმათმა საქმიანმა კრიტიკამ, იმათმა ფხიზელმა მოსაზრებებმა, აზრებმა და წინადადებებმა მე დამარწმუნა იმაში, რომ ჩვენ მუშებს და გლეხებს შეუგნიათ და გაუთვალისწინებიათ საბჭოთა ხელისუფლება. იმათ შეუგნიათ, თუ რის გაკეთება შეუძლიათ საბჭოებს, და თუ დღემდის მათ ბევრი ვერ გაუკეთებიათ, ეს არის ნაკლი არა საბჭოთა ხელისუფლების, არამედ ეს არის ნაკლი უმეტეს ნაწილად ჩვენი უსახსრობის, ჩვენი ჩამორჩენილობის, უკულტურობის და სხვ., მაგრამ ყველა მოლაპარაკეებიდან გამოსჭვიოდა ის ღრმა რწმენა, რომ სულ ყველა ამ ნაკლს ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით ჩქარა მოვიშორებთ თავიდან.

ყველა ორატორები ჩერდებოდენ იმაზე, ისეთ ზომების მიღებაზე, რაც აუცილებელია, რაც დღესვე პირველ საჭიროებას წარმოადგენს; თქვენ ხედავდით არა მეოცნებე ხალხს, არამედ საქმის კაცებს, რომელთაც კარგად აქვთ წარმოდგენილი ჩვენი ნივთიერი, ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა. გზები, ხიდები, სკოლა და სწავლა-განათლება, კოოპერაცია, მიწის და ტყის საკითხის მოგვარება, გადასახადების მოწესრიგება, ჭაობების ამოშრობა, მდინარეების ნაპირების გამაგრება, აი ის საკითხები, რომლების მოგვარება და გადაჭრა პირველ რიგშია საჭირო. მაგრამ პირველ რიგში უნდა იქნას დაყენებული მაინც გზების და ხიდების საკითხი.

ამ საკითხს აყენებდენ თითქმის ყველა ორატორები და ერთმა იმათგანმა კი, სახელდობრ ამხ. [illegible] ლაკობამ (აფხაზეთიდან) თავისი მოხდენილი სიტყვა (აფხაზურ ენაზე) დაიწყო და დაათავა გზებზე. გზები, გზები, გზები! აი რა გაისმოდა ადგილებიდან, მაზრებიდან ყრილობის სხდომებზე თითქმის ორი დღის განმავლობაში. რა თქმა უნდა, აქ გულისხმობდენ არა რკინის გზებს, არამედ გზატკეცილებს, შარა გზებს, უბრალო საურმე გზებს. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო იყო ამ მხრივ ამხანაგ **სვანების და ხევსურების** განცხადებები. ისინი აუტანელ ტანჯვას განიცდიან, ისინი მოწყვეტილნი არიან დღევანდელ ცხოვრებასთან, კულტურასთან, მათთვის თითქმის მიუწდომელიცაა თვით საბჭოთა ხელისუფლების სიკეთე, იმათ დახშული აქვთ სწავლა-განათლების და საერთოდ ყოველგვარი წინსვლის გზა და საშუალება.

ამნაირად პირველ რიგშია წამოყენებული გზების და ხიდების გაკეთება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა საქმეები დავიწყებული იქნას.

მესამე ყრილობამ დაგვიმტკიცა ჩვენ და დაუმტკიცა მთელ ქვეყნიერობას, რომ მშრომელი ხალხი ჩვენში, საქართველოში, პოლიტიკურად უკვე მომწიფებულა, რომ იგი გამოფხიზლებულა და შეუგნია თავისი ინტერესები, და მასთან იგი სავსებით აფასებს საბჭოთა ხელისუფლებას, მის მნიშვნელობას. სად მომხდარა და ვის გაუგონია, რომ ქალამნიანი გლეხი, შეიძლება წერა-კითხვის უცოდინარი გამოსულიყოს და საჯაროდ კრიტიკა გაეკეთებინოს მთავრობის მოქმედებისთვის და პირდაპირ და უშუალოდ თავისი ძმების და ამხანაგების სახელით ელაპარაკოს გლეხების საჭიროებაზე, მათ ჭირ-ვარამზე. არა, ეს არასოდეს არ ყოფილა, არც მეფობის და არც მენშევიკების დროს. მუშა და გლეხი ყოველივე ამას კარგად ამჩნევენ და ხედავენ, და ამიტომ იმათ არ შეუძლიათ არ დააფასონ ეს ფაქტი.

რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმება, რომ ყოველივე ეს სავსებით უნდა დაფასებული იქნას, ყოველივე ამას შესაფერი ანგარიში უნდა გაუწიოს ხალხის ხელისუფლების ხელმძღვანელების მხრით.

ყველაზე უფრო საყურადღებო ამ ყრილობაზე ის არის, რომ აქ არ არის დაპირდაპირება **მთავრობის და ხალხის. მთავრობა და ხალხი—ეს ერთი განუყრელი მთელია: ის, რაც აწუხებს ერთს, აწუხებს მეორესაც; ის სატკივარი, რომელიც აქვს ერთს, აქვს მეორესაც.** აი რაშია მთავარი მნიშვნელობა საბჭოებისა, საბჭოთა ხელისუფლებისა. აქ ლაპარაკია არა იმაზე, თუ ვინ იქნება მთავრობის სათავეში, როგორც ეს არის ბურჟუაზიულ ქვეყნებში, არამედ იმაზე, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს საქმე თუ როგორ უნდა მოვუღოთ ბოლო საერთო გასაჭირს, სილატაკეს და გაუნათლებლობას.

მესამე ყრილობას ექნება დიდი მნიშვნელობა საბჭოების საქმიანობაში, საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობის გამოცოცხლებაში და განვითარებაში. ის, რაც აქ იყო ნათქვამი, შეუძლებელია დავიწყებულ იქნას. ყველა ნაკლის ერთბაშად თავიდან მოშორება ან ყველაფრის ერთად გაკეთება შეუძლებელია; ამას ვერავინ, გარდა გიჟისა, ვერ მოითხოვს. მაგრამ ისე მოქმედებას, როგორც აქამდის იყო, ანუ უგეგმობას და უსისტემობას ბოლო უნდა მოეღოს, და საბჭოთა მთავრობამ უნდა გაუწიოს სრული ანგარიში ყველა იმ შენიშვნებს და იმ კრიტიკას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მესამე ყრილობაზე და თავისი მომავალი მოქმედობა აგოს კარგად გამომუშავებულ გეგმაზე.

პირველი, მაგრამ დიდი ნაბიჯი ამ მხრივ უკვე გადადგმულია. ამას უნდა მოჰყვეს შემდეგი ნაბიჯები, რომლებმაც ნაყოფი უნდა მოუტანონ საქართველოს მშრომელ ხალხს.

ფ. მახარაძე.

მემარჯვენე ბლოკი მიილტვის ძალაუფლებისაკენ საფრანგეთში

საფრანგეთში ამ ჟამად გაცხარებული პოლიტიკური ბრძოლა სწარმოებს მთავრობის პარტიებსა და პუანკარე-მილიერანის მემარჯვენე ბლოკ შორის. ამ ბრძოლის მთავარი საგანია საფრანგეთის ფინანსიური კრიზისი. ფრანკის კურსი დღითიდღე ეცემა. „მესამე რესპუბლიკა" დგას ფინანსიურ კრახის საშიშროების წინაშე.

რითი აიხსნება ასეთი მდგომარეობა? საფრანგეთი ხარჯავს აუარებელ ფულს სამხედრო შეიარაღებაზე და ოკუპაციაზე.

საფრანგეთის სახელმწიფო ვალი ომის შემდეგ ძალიან გაიზარდა, უდრის 400 მილიარდ ფრანკს, ომის წინანდელ 30 მილიარდის მაგივრად. ამ ვალის მარტო პროცენტების გასტუმრება მძიმე ტვირთად აწევა სახელმწიფოს ბიუჯეტს.

საფრანგეთი ომამდე მსოფლიო კრედიტორი იყო: მას საზღვარგარედ დაბანდებული ჰქონდა 40 მილიარდ მარკამდე, საიდანაც ყოველწლიურად შემოუდიოდა 2 მილიარდი მარკა. ომის შემდეგ ეს შემოსავალი თითქმის სავსებით მოისპო. კიდევ მეტი: ის თვითონ დავალიანდა უცხო ქვეყნების მიმართ.

სად არის გამოსავალი და ხსნა, რამდენადაც ამაზე შეიძლება ლაპარაკი საფრანგეთის დღევანდელი ბურჟუაზიული წყობილების და მისი საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში?

შეიძლება ფულის კურსის განსამტკიცებლად საფრანგეთმა გარეშე სესხს მიმართოს. მაგრამ ეს იქნებოდა დროებითი ხასიათის ზომა, ამასთან ისეთი, რომელიც საფრანგეთს გერმანიის ბედს განუმზადებდა; ეს იქნებოდა დოუესის გეგმის განხორციელება საფრანგეთის მიმართ. მაშინ იგი სავსებით ჩაუვარდებოდა უცხოელ კრედიტორების ფინანსიურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობაში.

არც შინაური სესხი უშველის საქმეს. მთავრობის მიერ უკანასკნელად გამოშვებულ შინაურმა სესხებმა სრული დამარცხება განიცადეს. ფრანგი მოქალაქე არ ენდობა ფრანკს და მას არ შეაქვს მთავრობის სალაროში თავისი „შავი დღისათვის" შემონახული ფული.

მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა მხოლოდ მსხვილი კაპიტალის დაბეგვრით. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვას ვხედავთ. სახელმწიფო შემოსავლის „მთელი 85 პროც. მოდის არაპირდაპირი გადასახადებზე, ე. ი. მშრომელი მოსახლეობის პირველი მოთხოვნილების საგნებზეა იგი შეწერილი. მშრომელი მოქალაქე და წვრილი მესაკუთრე იხრჩობიან გადასახადების სიმძიმის ქვეშ. ხოლო მსხვილი მრეწველნი თითქმის არაფერს იხდიან მათ შემოსავალთან შედარებით.

„მემარცხენე" ბლოკს გასული წლის მაისის არჩევნებში გამარჯვება მოუტანა, სხვათა შორის, მის მიერ წამოყენებულმა ფინანსიურ პროგრამამაც. მისი დედა-აზრი მდგომარეობდა ფულის კურსის განმტკიცებაში მსხვილი ბურჟუაზიის ხარჯზე, ე. ი. მსხვილ კაპიტალზე გადასახადის გაძლიერებაში, სამაგიეროდ მშრომელი მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებაში. ამან ერრიოს მთავრობისათვის ხმა მიაცემინა წვრილ ბურჟუაზიას და მუშათა კლასის დიდ ნაწილს.

მაგრამ ერრიოს არ ეყო ძალა და გამბედაობა ეს დაპირება გაენაღდებია. მას შეეშინდა მსხვილი ბურჟუაზიის და თავისი ფინანსიური პროგრამა დაივიწყებას მისცა.

ცხოვრება კი თავისი გზით მიდის. მშრომელი ხალხი სულს ღაფავს გადასახადებისაგან, ფულის საბეჭდავი მანქანა განუწყვეტლივ მუშაობს, მარკის კურსი სულ უფრო დაბლა მიექანება.

ფინანსიური კრიზისის ნიადაგზე მემარჯვენე ბლოკმა გააძლიერა ინტრიგები მთავრობის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოყვა ფინანსთა მინისტრის კლემენტელის გადადგომა.

ახალი ფინანსთა მინისტრი დე-მონზი ეძებს „გამოსავალს". დე-მონზიმ კიდეც შეიმუშავა „ახალი" კანონ-პროექტები. იგი, როგორც მისი წინამორბედი, მომხრეა ქაღალდის ფულის გამოშვების გაგრძელების, ამასთან წინადადებას იძლევა შემოღებულ იქნას კაპიტალიდან ერთდროული ნებაყოფლობითი (!) გადარიცხვა 10 პროც.-ის რაოდენობით. მაგრამ მთავრობას ესმის, რომ ამ „ნებაყოფლობიდან" არაფერი არ გამოვა. ამიტომ მას განზრახვა აქვს იძულებითი დაბეგვრას მიმართოს 80 მილიარდი ფრანკის რაოდენობით. მთავრობამ ამავე დროს კარგად იცის, რომ აქ ის წააწყდება მემარჯვენე ბლოკის სასტიკ წინააღმდეგობას. და დე-მონზიც „ამშვიდებს" მსხვილ ბურჟუაზიას: „მე შევეცდები ვიყო ნაციონალურ შერიგების ელემენტი"-ო, ან „თავს შევიკავებ დამამძიმებელ ხასიათის საგადასახადო ღონისძიებათაგან"-ო. მაგრამ ფრანკის განმტკიცება ხომ არ შეიძლება მსხვილი ბურჟუაზიის გადასახადებით „დამძიმების" გარეშე!

აქ ჩვენ ვხედავთ „მემარცხენე" ბლოკის სრულ დაბნეულობას და ყოყმანობას, რის სულ უკან-უკან იხევს მემარჯვენეების წინაშე.

ნაციონალური ბლოკი, იყენებს რა საფრანგეთის ფინანსიურ კრიზისს, ემზადება ერრიოს მთავრობის დასამხობად. კლემენტელს შეიძლება ერრიოც გაჰყვეს. მილიერანი ცდილობს შეიტანოს განხეთქილება „მემარცხენე ბლოკში", ჩამოაშოროს მას მემარჯვენე ელემენტები. უკვე ლაპარაკობენ „საშუალო" მთავრობის შექმნაზე, რომელიც იდგომება ერრიოზე მარჯვნივ, ხოლო პუანკარეზე მარცხნივ. ეს იქნება გარდამავალი საფეხური უკიდურესი რეაქციის გამარჯვებისაკენ საფრანგეთში. საფრანგეთი ცდილობს არ ჩამორჩეს ინგლისს და გერმანიას. კონსერვატორების მთავრობას ინგლისში, ლიუტერის მონარქისტულ მთავრობას გერმანიაში ხომ „ამხანაგი" უნდა [illegible]" მილიერან-პუანკარეს რეაქციონურმა მთავრობამ საფრანგეთში! ე. ი. „დემოკრატიულ-პაციფისტური" ხანა ქრება, „ვითა სიზმარი ღამისა". საფრანგეთის რეაქციონურმა ბურჟუაზიამ კიდევ დაიწყო „გენერალური" ბრძოლა თავის დიქტატურის დასამყარებლად. ვნახოთ, რას მოგვიტანს ახლო მომავალი.

X.

სოფელი
ფართო გასაქანი გლეხობის თვითმოქმედებას

ჩვენს უმთავრეს ამოცანას დღეს, როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, სოფლის ცხოვრების აღორძინება შეადგენს. ამისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა თვით გლეხობის თვითმოქმედების გაღვიძება, მისი აქტიური ჩაბმა საზოგადოებრივ აღმშენებლობაში, განსაკუთრებით კი საბჭოების მუშაობაში. საბჭოთა არჩევნებს სწორედ ეს ამოცანა ჰქონდა დაკისრებული. დასახული მიზანი კიდეც ტარდება ცხოვრებაში.

გაზ. „პრავდა" ეხება საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობას და შედეგებს და ამბობს:

„მთელ რიგ ადგილებიდან იტყობინებიან, რომ არჩევნები სოფლად ხდება გლეხობის არაჩვეულებრივი აქტივობის პირობებში, ამასთან ეს აქტივობა **სრულებით არ ატარებს ჩვენდამი მტრულ ხასიათს.**

სასოფლო საბჭოების არჩევნების დროს ხდება თითქმის ამომრჩეველის გამოსვლა,—ირჩევენ სოფლის თითქმის ყველა მცხოვრებნი, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვთ.

საკანდიდატო პირებს არჩევენ ვრცლად და ყოველმხრივ: მათ არჩევენ პერსონალური ხმის მიცემით, ისე რომ ეხლა ყოველმა გლეხმა იცის, თუ ვინაა არჩეული მის საბჭოში, თუ ვინაა საბჭოს თავმჯდომარე და სხ.

არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა თითქმის ყველგან აღემატება საარჩევნო უფლების მქონეთა ორ მესამედს.

თუ შევადარებთ არჩეულ საბჭოების შემადგენლობას, შეიძლება გარკვევით ვთქვათ, რომ მუშაობის უნარიან კომუნისტებს ირჩევენ საბჭოებში, ამასთან მათ კანდიდატურას აყენებენ თვით გლეხები.

მართალია, კომუნისტების საერთო პროცენტი საბჭოებში შემცირდა, მაგრამ სასოფლო საბჭოებში კომუნისტური ხელმძღვანელობა ამით ოდნავადაც არ შესუსტებულა. სამაგიეროდ გაიზარდა ახალ საბჭოების წინაშე მდგარი ამოცანები".

ასეთივე მდგომარეობაა ჩვენშიც. ჩვენ გამოქვეყნებული გვქონდა ცნობები საქართველოში საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობის შესახებ. უპარტიო გლეხობა დიდ პოლიტიკურ აქტივობას იჩენდა არჩევნებში, საბჭოების შემადგენლობაშიც საგრძნობლად გაიზარდა მისი რიცხვი. ეხლა მიმდინარე საბჭოთა ყრილობაც ნათლად გვიჩვენებს, რომ გლეხობა გამოდის სახელმწიფო ცხოვრების აქტიური და შეგნებული მშენებლის როლში.

საჭიროა შემდეგში მუშაობის გაძლიერება ამ მიმართულებით, ფართო გასაქანის მიცემა გლეხ-დელეგატების თაოსნობისა და თვითმოქმედებისათვის, მთელი გლეხობის შემოკრება საბჭოების გარშემო, საერთოდ გლეხური საბჭოთა საზოგადოებრიობის განვითარება. ეს ძირითადი პირობაა პარტიასა და უპარტიო გლეხობას შორის მჭიდრო კავშირის დამყარებისათვის, საბჭოთა წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის.

საფრანგეთის მთავრობამ მიიღო დე-მონზის საფინანსო პროექტები
დაიხურა ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების კონფერენცია.
ჩრდილოეთ სახალინი ოფიციალურად გადაეცა საბჭოთა ხელისუფლებას.

საფრანგეთის მთავრობა პარლამენტში დე-მონზის პროექტების განხილვის დროს დასვამს ნდობის საკითხსაც.—ერრიოს იმედი აქვს, რომ მთავრობის ფინანსიური გეგმები მიღებული იქნებიან.—ჟ. სადულის პროცესზე სიტყვა წარმოსთქვა ბრალდებულმა და დამცველმა ბერტონმა.—„ჟ. სადულის გასამართლება,—ეს არის გალაშქრება რუსეთის ძლევა-მოსილი რევოლუციის წინააღმდეგ."—ბელგიის საპარლამენტო არჩევნებში სოციალისტებმა გაიმარჯვეს.—

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში
დე-მონზის პროექტი მოწონებულია

პარიზი, 7 აპრილი. „ჰავასის" სააგენტოს ცნობით მინისტრთა საბჭომ მოიწონა დე-მონზის მიერ წარდგენილი პროექტი ფინანსების გაჯანსაღების შესახებ.

პროექტის პირველ ნაწილში გათვალისწინებულია ფულის ტრიალის განსაზღვრა 45 მილიარდით და საფრანგეთის ბანკის კრედიტები სახელმწიფოსათვის განსაზღვრულია 26 მილიარდით.

პროექტის შემდეგი მუხლები შეიცავს კაპიტალზე ერთდროულ ნებაყოფლობით გადასახადის ცხოვრებაში გატარების პირობებს.

ობლიგაციები გამოშვებული იქნება ნომინალური ფასით და შემოიტანს 3 პროცენტს; ისინი არ თავისუფლდებიან გადასახადისაგან მოძრავ ქონებაზე. იმ პირებმა, რომელნიც იხდიან საშემოსავლო გადასახადს, ნებაყოფლობით უნდა დაიბეგრონ თავი არა ნაკლებ თავისი ქონების ერთი მეათედის—რაოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ეს პირები უარს იტყვიან თვით დაბეგვრაზე, **მათ იძულებით გადახდებათ მათი ქონების ერთი მეათედის საფასური.**

დე-მონზის წინადადების გარშემო

პარიზი, 8 აპრილი. დე-მონზის პროექტის განხილვის დროს დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიაში ერთ-ერთმა დეპუტატმა დააყენა კითხვა, თანახმა იქნება თუ არა მთავრობა განიხილოს პროექტის პირველი ნაწილი სხვა დანარჩენ ნაწილებისაგან დამოუკიდებლად? **დე-მონზიმ უპასუხა, რომ ყველა მისი წინადადებანი შეადგენს ერთ განუყოფელ მთელს და რომ ის ახლო მომავალში მოითხოვს კენჭის ყრას მთელი პროექტისათვის მთლიანათ. ერრიომ დასძინა: რომ მთავრობა ამავე დროს დააყენებს კითხვას ნდობის შესახებ.**

რადიკალ-სოციალისტების ფრაქციამ დაავალა დეპუტატ მალვის და დელბოსს აწარმოვონ მოლაპარაკება სოციალისტებთან, რათა უკან წაადებინონ მათ კაპიტალის დაბეგვრის კონტრ-პროექტი.

ერრიო ოპტიმისტურადაა განწყობილი

პარიზი 8 აპრილი. ხმების თანახმად დეპუტატთა პალატის და სენატის უმრავლესობის სხვადასხვა ჯგუფებთან მოლაპარაკების შემდეგ **ერრიო დარწმუნდა, რომ მისი საფინანსო პროექტები მიღებული იქნება, როგორც პალატის, ისე სენატის მიერ, ვინაიდან უკანასკნელი არ იკისრებს პასუხისმგებლობას სამინისტრო კრიზისისათვის.** მაგრამ სენატის მემარჯვენე ნაწილი იბრძოლებს იმის წინააღმდეგ, რომ შეცვლილი იქნეს საფრანგეთის მთავრობის თვალსაზრისი ვატიკანთან დამოკიდებულების საკითხში (ვატიკანში საფრანგეთის წარმომადგენლობის გაუქმებაზე უარის თქმის წინააღმდეგ).

ერთ დროს გავრცელდა ხმები რომ დე-მონზის მიერ შემუშავებულ კაპიტალის დაბეგვრის პროექტს სოციალისტები სთვლიან ძალიან უმნიშვნელოთ და წარმოადგენენ კონტრ-პროექტს, რომელიც გააძლიერებს დაბეგვრას.

მაგრამ სოციალისტების ლიდერმა ბლიუმმა განაცხადა, რომ ის ეთანხმება დე-მონზის გეგმას, რომელსაც მეორის მხრივ უერთდება დეპუტატთა პალატის ცენტრის ჯგუფიც.

რაც შეეხება ერრიოს კაბინეტის სიმტკიცეს, ამის შესახებ მთავრობის წრეებში ისევ ოპტიმისტური შეხედულება არსებობს მას შემდეგ, რაც ერრიოსა და დე-მონზის შორის მიღებული იქნა შეთანხმება საფინანსო საკითხებში.

გერმანიის „საგანგებო კომისიის" პროცესი

ბერლინი, 7 აპრილი. ბრალდებულ-პროვოკატორ ფელიქს ნეიმანის ოფიციალურმა დამცველმა გოლდშტეინმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ტერორისტული ჯგუფი გერმანიის კომპარტიის ცეკას მიერ დაარსებული იყო „ზევიდან მიღებულ ბრძანების თანახმად". ნეიმანმა შექმნა ტერორისტული ჯგუფი სკობლევსკის კარნახით და ბრანდლერის თანხმობით. ნეიმანი არ არის სულით ავადმყოფი, ის ისტერიკაა; ამიტომ ის ხანდახან არანორმალურ ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს.

ორგვარი იუსტიცია

ბერლინი, 8 აპრილი. მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ორგანო ლეიპციგში—„ლეიპციგერ ფოლკსცაიტუნგი" აკრიტიკებს მოთხოვნას ბრალდებულთა სასჯელის შესახებ, რომელიც წაყენებულია პროკურორის მიერ გერმანიის „საგანგებო კომისიის" პროცესზე. გაზეთი სწერს: „პროკურორის სიტყვა გადააჭარბებს დღემდე არსებულ კლასიურ იუსტიციის მაგალითს".

ასახელებს რა უმთავრეს სასამართლო განაჩენებს ფაშისტების წინააღმდეგ კაპპის აჯანყების შემდეგ, გაზეთი სწერს: „პროკურორის მოთხოვნა ამტკიცებს ორნაირ იუსტიციის არსებობას. ერთი შეთქმულთათვის მარჯვენიდან, მეორე—მუშათა კლასის წარმომადგენლებისათვის, რევოლუციონერებისათვის მარცხნიდან.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ დამტკიცებულია მხოლოდ პროვოკატორ ნეიმანის ბოროტ-მოქმედებანი. პირიქით, სასამართლომ ვერ დაამტკიცა ვერც წაქეზება სხვა ბრალდებულთა მხრივ, ვერც სკობლევსკის მონაწილეობა ბოროტ-მოქმედებებში. ექსპერტიზას სკობლევსკის ნაწერს შემოწმების დროს მოჰყვა უარყოფითი შედეგი. ნეიმანის ჩვენებას კი არავითარი დამამტკიცებელი მნიშვნელობა არ აქვს.

გაზეთი გამოსთქვამს იმედს, რომ სასამართლო უარს იტყვის სიკვდილით დასჯაზე.

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

[illegible]

ლონდონი. 7 აპრ. თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მოხელეთა შესანახად ხარჯთა-აღრიცხვის განხილვის დროს მუშათა პარტიის წევრმა კენვორტიმ აღძრა საკითხი საბჭოთა კავშირში დიპლომატიურ წარმომადგენლობის დაარსების შესახებ.

კენვორტიმ განაცხადა, რომ **არაა საკმარისი ვიყოლიოთ მხოლოდ 3 კონსული ისეთ ქვეყანაში, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ბაზარს ინგლისის საქონლისათვის.**

სპიკერმა შეაჩერა კენვორტი რეგლამენტის ძალით, რომელიც ნებას არ აძლევს დეპუტატს შეეხოს მთავრობის მოქმედების საკითხს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს.

მდგომარეობა უცვლელია.

ლონდონი. 7 აპრილი. „რეიტერის" სააგენტო იუწყება, რომ ოფიციალური წრეების ცნობით არ არის მოსალოდნელი მოლაპარაკების განახლება საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ რაკოვსკიმ ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი. საუბრის დროს არ ყოფილა განხილული საკითხი საბჭოთა მთავრობის მხრივ რაიმე ახალ წინადადებათა შესახებ. ინგლისის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა უცვლელი რჩება. ამ ურთიერთობას საფუძვლად უდევს 1921 წლის სავაჭრო შეთანხმება, რომლის პრაქტიკულ შედეგებს მთავრობა დიდის ინტერესით ადევნებს თვალყურს.

საპარლამენტო არჩევნები ბელგიაში

პარიზი. 7 აპრილი. ბელგიის საპარლამენტო არჩევნებში, მიღებულ ცნობების თანახმად, კომუნისტებმა მიიღეს 33,264 ხმა, და ერთი მანდატი, სოციალისტებმა მოიპოვეს კიდევ 138.000 ხმა და მიიღეს 76 მანდატი, წინად ჰქონდათ 68; ლიბერალებმა მიიღეს 24 მანდატი, მაშინ როდესაც წინად ჰქონდათ 33.

პარიზი. 7 აპრილი. დამატებითი ცნობების თანახმად, ბელგიის დეპუტატთა პალატა შესდგება 187 წევრისაგან. მანდატები განაწილებულია შემდეგნაირად: 78 კათოლიკე, 72 სოციალისტი, 24 ლიბერალი, 5 ფლამანდიის ნაციონალისტი, 2 კომუნისტი და 1 დამოუკიდებელი

ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელთა თათბირი

ინგლისის პრესა პროფკავშირების კონფერენციის შესახებ.

ლონდონი. 8 აპრილი. მხოლოდ „დეილი მეილ"-ი, „დეილი ტელეგრაფ"-ი და „მანჩესტერ გარდიენ"-ი ბეჭდავენ თავის ფურცლებზე წერილებს ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების კონფერენციის შესახებ.

„დეილი მეილ"-ის წერილის შინაარსი გამოხატულია სათაურში: „ბოლშევიკური მგლები და ინგლისის ცხვრები".

„დეილი ტელეგრაფ"-ი მხოლოდ გაკვრით ეხება კონფერენციას.

„მანჩესტერ გარდიენ"-ი კონფერენციაში ხედავს მახეს ინგლისის ტრედიუნიონებისათვის.

თათბირის დახურვა.

ლონდონი, 7 აპრილი. 7 აპრილს, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და ინგლისის პროფკავშირთა წარმომადგენლების თათბირის დახურვის დროს, ოფიციალურად იქნა გამოცხადებული, რომ ინგლისის დელეგატებმა წარმოადგინეს განცხადება, რომელიც შეიცავს მათ პრინციპიალურ თვალსაზრისს პროფმოძრაობის საერთაშორისო ორგანიზაციის საკითხის შესახებ. განცხადება განიხილეს საბჭოთა დელეგატებმა, რომლებმაც პასუხი გასცეს მას. ორივე განცხადება განხილული იქნება ხვალ.

ოფიციალური ცნობა დასძენს, რომ კონფერენციის მუშაობამ გამოიღო საგრძნობი ნაყოფი. დანიშნულია კომისია, რომელიც შესდგება თვითეული დელეგაციის წარმომადგენლისა და მდივნისაგან. კომისიამ უნდა შეადგინოს საერთო ანგარიში კონფერენციის შედეგების და გადაწყვეტილებების შესახებ.

საბჭოთა სახალინი

ტოკიო. 7 აპრილი. იაპონიის გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებისათვის ჩრდილოეთ სახალინის გადაცემის შესახებ. ამ ცნობას ხელს აწერს იაპონიის რაზმების სარდალი და საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ალექსანდროვსკში.

გატაცებული გემების საკითხი

პარიზი, 7 აპრილი. „ჰავასის" სააგენტო მარსელიდან იუწყება, რომ კომერციულ სასამართლოში დაიწყო საბჭოთა მთავრობის მიერ აღძრული საქმე, რომელიც შეეხება რუსეთის ყოფილ სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების აგენტების მიერ საზღვარგარეთ გაყვანილ კომერციულ ფლოტს.

საბჭოთა მთავრობის სახელით გამოვიდა ბიზოსი, რომელმაც გააცნო სასამართლოს საქმის ისტორია და მოიგონა ის გარემოებანი, რომელშიაც გემები ჩავიდენ მარსელში. ბიზოსი შუამდგომლობდა სასამართლოს წინაშე, რათა დანიშნული იქნას ორი დროებითი ადმინისტრატორი—ერთი ფრანგი და ერთი რუსი, რომელნიც უნდა განაგებდენ ფლოტს, რომლის შემადგენლობა შემცირდა 33 გემიდან 17-მდე, გემების გაყიდვის გამო.

სასამართლოს მიერ დანიშნულმა პირებმა უნდა განაგონ ფლოტი მანამ, სანამ საბჭოთა კავშირის მთავრობა მიაღწევს შეთანხმებას საფრანგეთის მთავრობასთან საფრანგეთში დატოვებულ რუსეთის ქონების შესახებ.

ჟ. სადულის პროცესი

ბრალმდებლის სიტყვა

ორლეანი, 7 აპრილი. 7 აპრილის სხდომა მოუნდა მთავრობის კომისრის (ბრალმდებლის) და დამცველ ბერტონის სიტყვების მოსმენას.

ბრალმდებელმა თავისი სიტყვა დაიწყო სადულის წინანდელი სამხედრო სამსახურის და ზნეობრივ თვისებების დახასიათებით. ის ქება-დიდება, რომელიც იძულებულია წარმოთქვას ბრალმდებელმა, მის სიტყვას ალაგ-ალაგ აძლევს უფრო დამცველის, ვიდრე პროკურორის სიტყვის ხასიათს. ასეთივე შთაბეჭდილება რჩება, როცა ბრალმდებელი ცდილობს სადულის დანაშაულობის დამტკიცებას, იმდენად სუსტია ბრალმდებლის დებულებები.

ბრალმდებელი უარყოფს, რომ სადულის მისია იყო წმინდა პოლიტიკური და ამისათვის მოჰყავს მოტივად ის გარემოება, რომ ის დანიშნული იყო საფრანგეთის სამხედრო მისიასთან. „მაგრამ სადული,—ამბობს ბრალმდებელი,—განსაკუთრებით გენერალ ნისელის წამოსვლის შემდეგ, ივიწყებს სამხედრო მოსამსახურის მოვალეობას და სავსებით ებმება პოლიტიკურ პროპაგანდაში. სადული ხდება „მორალურ დეზერტირად".

ბრალმდებელი მოითხოვს სადულის დასჯას სამხედრო-სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლის ძალით, რომელშიაც გათვალისწინებულია ციხეში დაპატიმრება მკაცრი იზოლაციით 5-დან 20 წლამდე და [illegible].

დამცველ ბერტონის სიტყვა.

იწყებს რა თავის სიტყვას, დამცველი ბერტონი მოითხოვს მოსამართლეებისაგან დასვან საკითხი პირდაპირ: თუ სადული დამნაშავეა, გაასამართლონ ის სასჯელის შეუმსუბუქებლად, ხოლო თუ დამნაშავე არ არის, გაანთავისუფლონ. შემდეგ ბერტონს მოჰყავს პარლამენტის მრავალრიცხოვან მოღვაწეების მიერ გამოთქმული აზრი, რომელთაც არასოდეს არ შეუცვლიათ ეჭვი სადულის სიმართლეში.

უკეთებს რა ანალიზს სადულის როლს რუსეთში, ბერტონი ამტკიცებს, რომ მისი მისია იყო პოლიტიკური და რომ სადული იყო უპირფასესი ინფორმატორი რუსეთის ამბების შესახებ.

ბერტონი სასტიკად აკრიტიკებს მოკავშირეების მთავრობების პოლიტიკას რევოლუციონური რუსეთის მიმართ და ამ პოლიტიკას უწოდებს [illegible]ურობას.

ბერტონს მოჰყავს მრავალი მოწმეების ჩვენებები და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სკანდალური ხასიათი აქვს თანდაუსწრებელ პროცესს სადულის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1919 წელს და რომელმაც მის დაუსწრებლად მიუსაჯა მას სიკვდილით დასჯა. ბრალდება დეზერტირობის შესახებ კრიტიკის გარეშეა.

სადული გამართლებული უნდა იქნეს, რადგან სადულის დასჯა ნიშნავს გალაშქრებას რუსეთის ძლევამოსილი რევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილია ლონდონის და პარიზის მიერ. ეხლანდელ საერთაშორისო მდგომარეობის დროს, რომელიც აწეწილ-დაწეწილი და აღსავსეა ახალი ომების საფრთხეებით, მხოლოდ ეს რევოლუცია უმზადებს მშვიდობიანობას ხალხებს.

დამსწრე საზოგადოებამ მქუხარე ტაშით დაფარა ბერტონის სიტყვა.

მენშევიკებმა მოატყუეს მუშები

პრაღა, 7 აპრილი. მორავია-კარვინის რაიონის სამთომადნო მუშათა კონფერენციამ ერთხმად დაადგინა გაფიცვა [illegible] დამთავრებულად.

მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „მთელი მუშათა საზოგადოებრიობის წინაშე—არა მარტო მორავია-კარვინის სამრეწველო რაიონის, არამედ ჩეხო-სლოვაკიის მთელი მუშათა კლასის წინაშე, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ სოციალ-დემოკრატებმა უღალატეს მუშათა კლასს და მორავია-კარვინის რაიონის სამთომადნო მუშების, მეტალისტების და ქიმიურ წარმოების მუშების ინტერესებს. [illegible] საზოგადოების წინაშე ჩვენ [illegible] სოციალ-დემოკრატებს [illegible]"

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ამხ. იურენევი მუსოლინთან

რომი, 7 აპრილი. მუსოლინმა მიიღო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში—ამხ. იურენევი.

უკრაინის კომპარტიაში

ხარკოვი, 8 აპრილი. დაიხურა უკრაინის კომპარტიის ცეკას პლენუმი, რომელმაც უკრაინის კომპარტიის ცეკას მდივნად აირჩია ამხ. კაგანოვიჩი—რუსეთის კომპარტიის ცეკას ყოფ. მდივანი.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი.

მოსკოვი, 8 აპრილი. 6 აპრილს ამხ. მანუილსკიმ გააკეთა მოხსენება ჩეხო-სლოვაკიის საკითხის შესახებ. მან აღნიშნა ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მისი თქმით ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის შემადგენლობის 98 პროც. მუშებს წარმოადგენენ.

შვედი სტუმრები ლენინგრადში.

ლენინგრადი, 8 აპრილი. 7 აპრილს შვეციის პროფკავშირთა დელეგაციის მონაწილეობით შესდგა საერთო საქალაქო კონფერენცია სახალხო კავშირის მუშაკებისა. დელეგაციის წევრმა ანდერსონმა ლენინგრადის მუშებს გადასცა შვეციის კომპარტიის სალამი. ამასთანავე ანდერსონმა განაცხადა რომ შვეციის მუშები წავლენ რუს მუშათა გზით, რომელიც ერთად ერთი სწორი გზაა მთელი ქვეყნის კაპიტალისტებთან ბრძოლის საქმეში.

პროვოკატორის დაპატიმრება.

ბაქო, 8 აპრილი. აზერბეიჯანის საგანგებო კომისიამ დააპატიმრა გამოჩენილი პროვოკატორი ყოფილი წევრი რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების)—გერასიმე ვასილის ძე სერეგინი და მასთან ჟანდარმთა სამმართველოს ყოფ. უფროსი ალექსანდრე ლუკიანოვი.

ჯერ კიდევ 1906 წ. სერეგინმა, როგორც ნიჭიერმა და პოლიტიკურად განვითარებულმა მუშამ მალე წაიწია წინ და შეიქნა ბალახანის ბოლშევიკურ უჯრედის სული და გული, აქვე მუშაობდა იმ დროს ამხ. კალინინი. 1911 წლიდან მან დაიწყო მუშაობა „ოხრანკის“ აგენტად „სლესარის“ სახელწოდებით, ამის შემდეგ ბაქოს ორგანიზაციის საქმე ცუდად წავიდა.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ნორვეგიაში

მოსკოვი, 8 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაანთავისუფლოს ამხ. კოლონტაი საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობიდან ნორვეგიაში. ამ თანამდებობაზე დაინიშნოს ამხ. ნიკოლაევი.

მურაშკოს საქმე

ვარშავა, 7 აპრილი. ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მკვლელობის საქმის გამოძიებას აწარმოებს ვილნოს სააპელაციო სასამართლოს გამომძიებელი სანგილო. საქმის გარჩევა დაიწყება ივნისში. მურაშკოს დაიცავენ ნაფიცი მსაჯულები ნეგელსკი და შურლეი.

მათივე წინანდელ ცნობების წინააღმდეგ, გაზეთები მურაშკოს ახასიათებენ, როგორც თავშეუკავებელ ფიცხ და ძალაზე მგრძნობიარე კაცს.

რუსეთის კომპარტიის გზით

პოლონეთის კომპარტიის მისალმება რუსეთის კომპარტიის ც. კ.

მოსკოვი. 8 აპრილი. პოლონეთის კომპარტიის ყრილობამ მიმართა რუსეთის კომპარტიას მისალმებით, რომელშიაც ნათქვამია: **„ჩვენ ჩვენს უწმინდეს მიზნად ვსთვლით ვიაროთ თქვენი გზით, თქვენსავით შემოვიკრიბოთ მუშათა და გლეხთა მასები კომუნისტური დროშის ქვეშ და წავიყვანოთ ისინი გამარჯვებისა და ხელისუფლებისაკენ“.**

ყრილობა, რომელიც ლენინის გარდაცვალების შემდეგ პირველად შეიკრიბა, თავის რეზოლიუციაში აღნიშნავს: „მისი მოძღვრება—როგორც ცეცხლის სვეტი, რომელიც წინ მიუძღვის მუშათა კლასის მებრძოლ რიგებს, მომავალშიც გზას უჩვენებს საერთაშორისო პროლეტარიატს გამარჯვებისაკენ. **ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ვიაროთ ბოლომდე იმ გზით, რომელიც ჩვენ გვიანდერძა ლენინმა** ვაწარმოოთ რევოლიუციონური ბრძოლა ლენინიზმის ლოზუნგებს ქვეშ—ამ გამობრძმედილი იარაღით, რომელიც უზრუნველჰყოფს პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებას“.

ორი დემოკრატია

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 8 აპრილი. „პრავდა“ მეთაურ წერილში ინგლისისა და საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელთა თათბირის შესახებ სწერს შემდეგს:

„როდესაც ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია ჩამოვიდა ჩვენში, მაშინ ისეთი პირობები იყო, რომ ინგლისის მუშებისათვის კეთდებოდა ყველაფერი. ინგლისის პროფკავშირების დელეგატებს ყველა ხვდებოდა, როგორც ძმებს და მეგობრებს.

მაგრამ აი ჩვენი დელეგაცია გამოჩნდა ლონდონში, და იმ წამსვე თითქმის მთელი ინგლისური პრესა ჩვენს რწმუნებულებს მტრულად შეხვდა.

რატომ არის ეს ასე, საიდანაა ასეთი განსხვავება?

ჩვენ არ წამოვაყენებთ ასეთ კითხვას, რომ ეს არ აეხსნებია ჟურნალ „ნეიშენ“-ში დაბეჭდილ წერილს, რომლის ავტორი, სხვათა შორის, სწერს: „ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში, საიდუმლოებას წარმოადგენს ის, თუ რა იგულისხმება მტკიცებაში, თითქოს მუშები რუსეთში გაბატონებულ კლასს წარმოადგენენ“.

„სხვათა შორის“, ეს „საიდუმლოება“ მდგომარეობს იმაში, რომ მუშებს, როდესაც ისინი გაბატონებული არიან, შეუძლიათ ღირსეულად მიიღონ სხვა ქვეყნების მუშები. როდესაც გაბატონებულია ბურჟუაზია, ის მუშების წინააღმდეგ თხზავს ათასგვარ სისაძაგლეს, სდევნის მუშებს და ამახინჯებს სინამდვილეს ბურჟუაზიის სასარგებლოთ.

ამაშია, სხვათა შორის, განსხვავება მუშათა დემოკრატიასა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის“.

სამთომადნო მუშათა საკავშირო კონფერენცია

მოსკოვი 8 აპრილი. დასრულდა სამთომადნო მუშათა საკავშირო კონფერენცია, რომელმაც აღნიშნა მნიშვნელოვანი წარმატებანი შრომის ნაყოფიერების აწევის საქმეში და ხელფასის გადიდება. კონფერენციამ აღნიშნა, რომ **შრომის ნაყოფიერების ზრდამ ძალიან გაუსწრო ხელფასის ზრდას**, რის გამოც საჭიროა აღებულ იქნას კურსი სამთომადნო მუშათა ხელფასის ზრდაზე და ეს ხელფასი უნდა იქნას აყვანილი სამრეწველო მუშათა ხელფასის დონემდე.

საჭიროა აგრეთვე ყურადღება მიექცეს კოოპერაციის მუშაობას სამთომადნო რაიონებში და ბაზრის მოწესრიგებას, რაც წარმოადგენს ხელფასის რეალურ დონეს შენარჩუნების გარანტიას.

სამთომადნო მუშათა პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტის მოხსენების მიხედვით კონფერენციამ საჭიროთ სცნო მუშაობის გაძლიერება პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობის განსახორციელებლად. დადგენილ იქნა სამთომადნო მუშათა საერთაშორისო ფედერაციის წინაშე აღიძრას საკითხი, რომ მის შემადგენლობაში შეყვანილი იქნას საბჭოთა კავშირის სამთომადნო მუშათა კავშირი. ამავე დროს გადასწყდა მიმართონ ყველა ქვეყნების სამთომადნო მუშებს თხოვნით მხარი დაუჭირონ საბჭოთა კავშირის სამთომადნო მუშებს საერთაშორისო ფრონტის მთლიანობისათვის ბრძოლაში.

ხანძარი ნახიჩევანში

ნახიჩევანი, 8 აპრილი. გუშინ ღამის 2 საათზე ბამბის გასაწმენდ ქარხანაში გაჩნდა ცეცხლი. ხანძრის ადგილას დაუყოვნებლივ გამოცხადდენ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე სულთანოვი და პასუხისმგებელი მუშაკები. ქარხანას გარშემოერტყნენ მილიციონერები.

ცეცხლი გაჩნდა ბამბის საწყობში, შემდეგ მოედო სამანქანო განყოფილებას.

ენერგიულ ზომების წყალობით ხანძარი 2 საათის განმავლობაში იქნა ჩაქრობილი.

მთლიანად დაიწვა ქარხნის შენობა, 4 ჯინა, 800 ფუთი ნედლი ბამბა, 1.500 ფუთი ბამბის თესლი, ღვედები. დაზიანდა მანქანების ნაწილები.

ხანძრის მიზეზია ლამპისადმი დაუფრთხილებელი მოპყრობა. ადამიანთა მსხვერპლი არ არის. სწარმოებს გამოძიება.

ხანძრის ლიკვიდაციას ენერგიულად შეუწყვეს ხელი მილიციის უფროსმა, მილიციონერებმა, ადგილობრივმა მუშებმა და მოსამსახურეებმა.

საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობა

მეექვსე სხდომა

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მოქმედება

(მომხსენებელი ამხ. ი. ქვანჩია)

სასოფლო მეურნეობის მნიშვნელობა საქარ. ეკონომიკისათვის

საქართველოს არსებობის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, რომელსაც მისდევს 400 ათასი კომლი. 1923 წლის სტატისტიკური ცნობებით, საქართველოს მოსახლეობა უდრიდა 2.456.810 სულს; აქედან სოფლის მოსახლეობა შეადგენდა 1.954.572 ე. ი. 79,6 პროც-ს დაახლოვებით ასეთივე შეფარდება არსებობს სოფლის მეურნეობის ნაწარმოების ღირებულებისა და ქალაქის მრეწველობის ნაწარმოების ღირებულებას შორის. 1923-24 წელში მრეწველობის ნაწარმოების საერთო ღირებულება უდრიდა 15.547.200 მანეთს, ხოლო ამავე დროს სოფლის ნაწარმოების ღირებულება 72 მილიონს. ამგვარად სოფლის მეურნეობა გაცილებით სჭარბობს თავისი მნიშვნელობით სახელმწიფო ეკონომიკისათვის.

ხელიშემშლელ ობიექტიურ პირობების მიუხედავათ ჩვენი გლეხური მეურნეობა მაინც ვითარდებოდა და სცდილობდა გამოეყენებია ბუნების საუცხოვო პირობები. ჩვენმა მეურნემ ხვნა-თესვასთან ერთად სოფლის მეურნეობის მრავალმნიშვნელოვანი ძვირფასი დარგები განავითარა.

ხორბლეულობის მოყვანა

მიწის უხეირო შემუშავების, სათესლე მასალის ნაკლები მექანიზაციის გამო ჩვენში ხორბლეულობის მეურნეობა უბარაქოა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენში ბლომად შემოდის რუსეთის პური, მიუხედავათ ამისა ხორბლეულობის მოყვანა ჩვენი მეურნეობის მთავარი—ძირითადი დარგია, ომიანობის დროს ის ძალიან შემცირდა, მაგრამ მუშა ხელის შინ. დაბრუნების შემდეგ ხვნა-თესვა კვლავ უახლოვდება ომის წინა დროინდელ ნათესობის რაოდენობას.

1909—13 წ.წ. ნათესების რაოდენობა საქართველოში უდრიდა 710.784 დესეტინას 1916 წელს—356.674 დესეტინას 1923 წელს—460.986 დესეტ. (სასოფლო-სამეურნეო აღწერით), ხოლო 1924 წელს ნათესების რაოდენობა უდრიდა 546.157 დესეტ. ამგვარად ხორბლეულობის მეურნეობის საქმეს წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესება ემჩნევა. მიუხედავათ ამისა ჩვენი გლეხობა თავის მოთხოვნილებას ხვნა-თესვით ვერ იკმაყოფილებს და მიმართავს მეურნეობის სხვა დარგებს, რომელთა შორის ყველაზე მეტი მნიშვნელობის არის.

მევენახეობა-მეღვინეობა.

მიუხედავათ ვენახების სივრცის შემცირებისა, მოსავლიანობა სისტემატიურად მატულობს. 1924 წელს ვენახების სივრცე უდრიდა 30,071 დესეტ. ხოლო ღვინის მოსავალი კი შეადგენდა 5.484.000 ვედროს (თვითეულ დესეტინაზე მოდის—170 ვედრა) მაშინ, როცა 1900 წელს ვენახების სივრცე უდრიდა—62.248 დესეტ., ხოლო ღვინის მოსავალი 4.979.840 ვედროს (თვითეულ დესეტინაზე მოდის 80 ვედრო ღვინო). ჩვენი მევენახეობის დღევანდელი მდგომარეობა ავალებს სახელმწიფოს მიიღოს სასწრაფო ზომები ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგის გამოსაბრუნებლად.

მეხილეობა

შეადგენს გორის და ახალციხის მაზრების და რამოდენიმედ ქვემო იმერეთის და ლაგოდეხის მოსახლეობის მოსაქმეობის ერთ-ერთს დარგს.

1917 წელს ხეხილის ბაღების საერთო სივრცე უდრიდა 7,303 დესეტინას, ხოლო 1923 წელს 8.556 დესეტინას. ამავე წელს ბაზარზე გატანილ იქნა 462.741 ფუთი. ამ რიცხვიდან საზღვარგარეთ გასაღდა—179,804 ფუთი. მეხილეობის განვითარებას აბრკოლებს სამრეწველო ჯიშების ნაკლები გავრცელება, სანერგეების უქონლობა, მასალების მოუწესრიგებლობა და ნაწარმოების გადამუშავების მოუწყობლობა.

მეაბრეშუმეობა

ფრიად განვითარებული და მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოში. 1910—14 წელს ნედლი პარკის მოსავალი საქართველოში უდრიდა—125 ათასს ფუთს, ხოლო გატანილი ხმელი პარკის რაოდენობა—28—30 ათასი ფუთი. 1920 წელს—ნედლი პარკის მოსავალი უდრიდა 50 ათასს ფუთს, გატანილი ხმელი პარკი—5 ათასს. 1924 წელს ნედლი პარკის მოსავალი შეადგენს—139 ათას ფუთს, გატანილია ხმელი პარკი—25 ათასი ფუთი. ნედლი პარკის საანგარიშო წლის მოსავალი თითქმის ერთი სამად აღემატება 1920 წლის მოსავალს.

მესაქონლეობა.

სხვადასხვა მიზეზების გამო არ ვითარდებოდა. 1913 წლიდან 1923 წლამდე მსხვილფეხ რქიან საქონლის რაოდენობა შემცირებულია თითქმის 180.000 სულით. გლეხობა არ მისდევს მეწველ მსხვილფეხ საქონლის მოშენებას—რძის ნაწარმოების გადამუშავების მოუწყობლობის გამო. საერთოდ საქონლის გამრავლებას აბრკოლებს საკვების მოუწესრიგებლობა, ჩვენი საქონლის ჯიშების ღირსება-ნაკლულევანების უცოდინარობა და სავეტერინარო ზედამხედველობის მოუწესრიგებლობა. საქართველოში შემცირდა აგრეთვე ცხენის, ჯორის, ვირის და წვრილფეხა საქონლის გამრავლება.



მათე ბოლდირაძე
ზუგდიდის მაზრიდან სოფ. ხაბუმე. უპარტიო.

ჩაის საქმე

საბჭოთა ხელისუფლების დროს საგრძნობლათ დაწინაურდა, მაგრამ რამდენადაც მოგვარებულია წარმოება, იმდენათ მოუგვარებელია ნაწარმოების გასაღება. 1914 წელს ჩაქვის სახალხო მამულში დამუშავებული იქნა 265.550 გირვანქა ჩაი, ხოლო 1924 წელს 376.000 გირვანქა ამგვარად ჩაის წარმოებამ წინ გაუსწრო ომის წინა დროის დონეს. საქართველოში ჩაისათვის გამოსადეგი ნიადაგის სივრცე უდრის 120 ათას დესიატინას. თითეულ დესიატინაზე მოსავლის საშუალო რაოდენობად 800 გირვანქა რომ ვიანგარიშოთ, საქართველოში გვექნება 96.000.000 გირ. ჩაის მოსავალი წლიურად.

მეთამბაქოობა

1923 წლიდან ხელახლა იწყებს განვითარებას და თუ მას სათანადო ყურადღება მიექცევა, ეს დარგი დიდ შემოსავალს მისცემს რესპუბლიკას. 1913 წელს თამბაქოს პლანტაციების სივრცე უდრიდა 9.652 დესეტ., 1920 წლისათვის ეს, რიცხვი დავიდა—2.257 დესეტინამდე, ხოლო 1923 წ. პლანტაციების რიცხვი უდრის 6.000 დესეტ.

მებამბეობა

საქართველოში ძველი დროიდან არსებობს, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო იგი დაეცა. 900 წლიდან იგი იწყებს აღორძინებას და 1914 წლისათვის ბამბის დათესილი მოედანი აღწევს 11.900 დესეტინას—152.100 ფუთი მოსავლით, შემდეგ ბამბის მოყვანა მსოფლიო და სამოქალაქო ომის გამო ეცემა, ხოლო 1924 წლისათვის კვლავ დგება და აღწევს 4.500 დესეტ. 50.000 ფუთ მოსავლით.

მეფრინველეობა

საქართველოში მით არის აღსანიშნავი, რომ ის იძლეოდა საექსპორტო მასალას. მაგ. 1909—1913 წლებში კვერცხის ექსპორტი უდრიდა 42.974 ფუთს, აქედან ცხადათ სჩანს, თუ რა ღირებულებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში მეფრინველეობა.

შინამრეწველობას

საქართველოს ეკონომიკაში, ზევით ჩამოთვლილ სასოფლო-სამეურნეო დარგებს გარდა, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. შინამრეწველობის განვითარებას ხელს უწყობს ჩვენში ნედლი მასალის სიმრავლე. ამ დარგში მოსაქმეობენ უმთავრესად ქალები, რომელნიც მიწის დამუშავებაში მონაწილეობას არ იღებენ და ამიტომ სამისოდ საკმარისი დრო აქვთ. ამ დარგით მოსაქმეობს საქართველოში 49.000 კომლი, დაახლოვებით 100 ათასი მუშა ხელი. ყოველწლიურად შინამრეწველობის პროდუქციის ღირებულება უდრის 7.618.000 მანეთს. მომავალში შინამრეწველობის საქმიანობაში ბევრად მეტი მუშა ხელი ჩაებმება და ამ წარმოების პროდუქციაც დღევანდელთან შედარებით გაიზრდება.

საქართველოს სასოფლო მეურნეობის დარგების მიმოხილვის შემდეგ მომხსენებელი გადადის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მომავალ სამოქმედო გეგმაზე.

სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებანი

ასეთ მდგომარეობაშია ჩვენს ქვეყნის სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგები. სახელმწიფოს უდიდესი ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგების აღდგენა-განვითარებისაკენ. ამ მიმართულებით საჭიროა გადაუდებელ ზომების მიღება.

ხორბლეულობის მეურნეობის

ასაწევად საჭიროა სათესლე მასალის გადარჩევა და გასუფთავება სარეველა მცენარეების თესლისაგან (სელექცია) და ხვნა-თესვის საქმეში მეტი მექანიზაციის შეტანა, ე. ი. გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღების გავრცელება.

მევენახეობის დარგში

ვენახების გადასარჩენად ფილოქსერით განადგურებისაგან საჭიროა ამერიკული ვაზის სადედეების გაშენება, რიხტერის წესით ნამყენი ვაზის გამოსაყვანად სათბურების აშენება, მევენახეთა უზრუნველყოფა საჭირო ნამყენი ვაზით, ვენახების მოსავლის გადამუშავების მოწესრიგება ადგილობრივად მისი გასაღების პირობების გაადვილება და ამ დარგისათვის კანონმდებლობის გზით მფარველობის გაწევა.

მეხილეობის

დარგში საჭიროა სანერგეების მოწყობა და სამრეწველო ჯიშების გავრცელება ჩვენს ბაღებში და ნაწარმოების გადამუშავების რაციონალიზაცია.

მეაბრეშუმეობის

სათანადოთ დასაყენებლად საჭიროა ბჟოლის ხის სანერგეების მოწყობა, შინაური გრენაჟის განვითარება და აბრეშუმის პარკის ადგილობრივ გადამუშავებისათვის ხელის შეწყობა და საინსტრუქტორო მუშაობის გაფართოვება.

მესაქონლეობის

აღსადგენად მიღებული უნდა იქნას შემდეგი ღონისძიებანი: უნდა მოწესრიგდეს საკვებისა და საძოვრების საკითხი, აღდგენილ იქნას მომთაბარე მეცხვარეებისათვის შეჩვეული გზები კავშირის ფარგლებში მაინც; გამოკვლეული და შესწავლილი იქნას მასიურად საექსპედიციო წესით ჩვენი საქონლის ადგილობრივი ჯიშები, რის შემდეგაც მხოლოდ შესაძლებელი იქნება საფუძვლიანი გეგმის შედგენა მესაქონლეობის განვითარებისათვის.

ჩაის მეურნეობის

განვითარებისათვის საჭიროა: ჩაის ნაწარმოების რეალიზაციის მოგვარება და საზოგადოთ ფართო სახელმწიფოებრივი მფარველობის გაწევა ამ საქმისათვის; იმ დიდი მომავლის მიხედვით, რომელიც აქვს ჩაის მეურნეობას საქართველოში, საჭიროა ახალი ორგანიზაციის შექმნა და ჩაის საქმის ახალი ტეხნიკის შესასწავლად სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნა უცხოეთში.

მეთამბაქოობის

სწრაფი აღდგენისათვის საჭიროა: შესაფერი ჯიშების შერჩევა, ტეხნიკის რაციონალიზაცია და საზოგადოდ ნაწარმოების ადგილობრივ გადამუშავება და ამ დარგის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან დაახლოვება.



სერგო გოგოლაძე

მებამბეობის

განსავითარებლად საჭიროა ამ დარგში რაციონალურ ტეხნიკის შემოღება და ჩვენი პირობებისათვის შესაფერი თესლის შერჩევა.

ბამბის მეურნეობის განვითარებისათვის ჩვენ უნდა შევეცადოთ მომავალში გაუქმებული იქნას ბამბაზე არსებული მაგარი ფასები.

შინა-მრეწველობის

განვითარებისათვის საჭიროა: მოხდენილ იქნას გამოკვლევა და ამის შედეგად დარაიონება, შეკავშირებული იქნას შინა-მრეწველნი ამხანაგობებად და კოოპერატივებად; გავრცელებული უნდა იქნას ცოდნა შინამრეწველთა შორის და ეძლეოდეთ მათ დახმარება გაუმჯობესებული ხელსაწყობებისა და მასალების მიწოდებით. ამასთან მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის შინა-მრეწველობის განყოფილების კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რომელსაც განყოფილება აწარმოებს ამ ჟამად თავისი სახსრებით, მიღებული უნდა იქნას სახელმწიფოს ხარჯზე.

სავეტერინარო ორგანიზაციას.

რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მესაქონლეობისა და მეფრინველეობის განვითარებისათვის, დიდია ყურადღება უნდა მიექცეს.

საქონლის ჭირთან ბრძოლის გასაძლიერებლად საჭიროა: გაფართოვებულ იქნას ტაბახმელის სადგურზე შრატის დამზადების საქმე. შემოღებულ იქნას ეპიზოოტიების საწინააღმდეგო ზომების გატარების დროს მიყენებული ზარალის ფულით ანაზღაურება საქონლის პატრონებისათვის; გაფართოვებული უნდა იქნეს სამკურნალოების და ამბულატორიების ქსელი; საჭიროა გაძლიერდეს სავეტერინარო ზედამხედველობა სამრეწველო საქონელზე; გადიდდეს ვეტერინართა რიცხვი. ახალგაზრდა ვეტერინართა კადრის მოსამზადებლად საჭიროა, რაც შეიძლება მალე, დაარსდეს სახელმწიფო უნივერსიტეტთან სავეტერინარო ფაკულტეტი.

მიწის მოწყობის დასამთავრებლად

5 წლის განმავლობაში საჭიროა მიწისმზომელთა რიცხვის გადიდება და მათი უზრუნველყოფა, როგორც ჯამაგირებით, ისე საოპერაციო თანხებით. პარალელურად სახმიწადმომწყობო მუშაობასთან შექმნილი უნდა იქნას მელიორაციის და სხვა საშუალებით სახალშენო ფონდი იმ 50.000 სოფლის მუშის ოჯახის დასასახლებლად, რომლებიც განიცდიან დიდ სივიწროვეს რაჭაში, ზემო-იმერეთში და სხვა რაიონებში. რაც შეეხება კერძოთ საზამთრო და საზაფხულო საძოვრებს, მიღებული უნდა იქნას სასწრაფო ზომები მათ შესასწავლად და მოსაწყობათ, რა მიზნითაც გადიდებული უნდა იქნას ტეხნიკების რაოდენობა.

სატყეო მეურნეობის

სათანადო დონეზე დასაყენებლად საჭიროა: დაჩქარებული იქნას ჩვენი ტყეების მოწყობა-გამოკვლევა, მიექცეს სათანადო ყურადღება ტყის განახლებას, რა მიზნითაც დაარსებული უნდა იქნას ორი სანიმუშო პრაქტიკული საცდელი სატყეო—ერთი აღმოსავლეთ და მეორე დასავლეთ საქართველოში, რაციონალურად იქნას გადაჭრილი სატყეო-საექსპლოატაციო და ტყით არა პირდაპირი სარგებლობის საკითხები და გაფართოვებული და განმტკიცებული იქნას ტყის დაცვის ორგანიზაცია. **სატყეო მეურნეობის აღსადგენად საჭიროა გახსნილი იქნას ბანკის მიერ სათანადო რაოდენობის კრედიტი, ან და წინააღმდეგ შემთხვევაში გადაყვანილი იქნას აღნიშნული დარგი სამეურნეო ანგარიშზე.**

სასოფლო სამეურნეო კრედიტი

(მომხსენებელი ამხ. კაკაბაძე)

სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძირითადი თანხა

საქარ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომელიც ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმეს ჩვენში, დაარსდა გასულ წელს. ბანკის ძირითადი თანხა განისაზღვრება მხოლოდ 1.418.751 მანეთით, რომლის ნახევარზე მეტი ირიცხება ძნელად გასანაღდებელ სესხად მიცემულ აქტივებში.

ბანკის რეალური საბრუნავი თანხა არ აღემატება 600—700 ათასს მანეთს, რომლითაც სარგებლობის საშუალება მიეცა ბანკს 1924 წლის შემოდგომიდან. ამავე დროიდან იწყება ფაქტიურად სოფლის მეურნეობისათვის ფართო მასშტაბით კრედიტის მიწოდება, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე საბჭოთა საკავშირო და ა/კავკასიის ბანკების კრედიტებით სარგებლობამ.

ბანკის ბალანსი

1924 წლის პირველი ოქტომბრის ბალანსი უდრიდა 2.907.915 მანეთს, მაგრამ ამ ბალანსიდან მხოლოდ მცირე ნაწილი,—22 პროცენტი იყო გაცემული სასოფლო-სამეურნეო მიზნით.

1925 წლის პირველი მარტის ბალანსი უდრის—4.228.413 მანეთს, აქედან სოფლის მეურნეობის სესხი უდრის—164.141 მანეთს, ანუ 39 პროცენტს. უმეტესი ნაწილი სესხისა გაცემულია საკრედიტო ამხანაგობათა გზით.

კრედიტის გაცემა სოფლის მეურნეებისათვის

სესხად გაცემული თანხიდან სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს ძირითადი კაპიტალისთვის მიეცათ 292.500 მანეთი, მევენახეობის პროდუქტების გასასაღებლად გაცემულია 324.826 მანეთი, მეხილეობის და მებოსტნეობის გამოსაღებელ ოპერაციებისათვის 107.883 მან., ვენახების სადედეების და სანერგეების მოსაწყობად—157.280 მანეთი, ღვინის გადასამუშავებლად—78.238 მანეთი, თამბაქოს ოპერაციებისათვის 55.398 მანეთი. ვენახების აღსადგენად 40.244 მანეთი, საჯიშე საქონლის შესაძენად—41.000 მანეთი, საქონლის საკვების შესაძენად 69.867 მანეთი.

დანარჩენი თანხა მიღებულია სხვადასხვა სამეურნეო საჭიროებისათვის.

მიმდინარე წლის კრედიტის მოთხოვნილება გამოანგარიშებული იყო 19 მილიონი მანეთით, ფაქტიურად კი ბანკს აქვს საშუალება დაახლოებით 3 მილიონი მანეთი კრედიტისა, რაც მოთხოვნილების 15 პროცენტს შეადგენს—ამ გარემოების გამო მთხოვნელთა მეტი ნაწილი დაუკმაყოფილებელი რჩება, რაც იწვევს ერთგვარ უკმაყოფილებას ბანკისადმი.

საკრედიტო ამხანაგობათა მოწყობა

სესხით დახმარების გარდა, ბანკის გამგეობის მთავარ მიზანს შეადგენს საკრედიტო სისტემის შექმნა, რომ საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობათა მოწყობით შესაძლებელი გახდეს გლეხობისათვის სამსახურის გაწევა და სესხის გაიაფება.

თავის არსებობის პირველ წლიწადს ბანკმა საქართველოში მოაწყო 100 საკრედიტო ამხანაგობა და ამ მოკლე ხანში მოეწყობა კიდევ 25 ამხანაგობა.

ისე, რომ ბანკის გეგმით ყოველ 1500—3000 კომლზე იქნება რაიონის ცენტრში ერთი საკრედიტო ამხანაგობა. იმ მცირე თანხის მიხედვით, რომელიც აქვს საქართველოს ბანკს, ეს რიცხვი უნდა ჩაითვალოს საკმარისად.

ბანკმა საკრედიტო ამხანაგობათა მოთხოვნილებით გამოიწერა მათთვის უცხოეთიდან 29.000 ფუთი შაბიამანი, 15 ათასი ფუთი გოგირდი, 500 ათასი მანეთის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, მანქანები, სეტყვის საბრძოლი შუშხუნები მიაწოდა 62 ათასი ფუთი საკვები და სხვა.

მომავალ მუშაობისათვის.

ამასთანავე ბანკს აქვს გამოთხოვილი კრედიტები რამოდენიმე ასი ათასი მანეთის რაოდენობით გაზაფხულის და ზაფხულისათვის ვენახის, ჩაის, თამბაქოს, ბამბის, მებოსტნეობის დასახმარებლათ. ბანკი იღებს ზომებს თავისი თანხების გასაძლიერებლათ,—ჯერჯერობით კი ბანკს მართებს მის განკარგულებაში არსებულ თანხების მიზანშეწონილად მოხმარება.

ეს გარემოება [illegible] ადგილობრივ მიაწოდოს გლეხობას, რათა გლეხს სესხი დაუჯდეს იაფად. მეორე მხრივ, გლეხს უნდა მიეცეს თავის დროზე სესხი, რომ მან შესძლოს იმ წარმოების და სამუშაობის შესრულება, რომელიც საჭიროებს დაქირავებულ მუშა-ხელს, იარაღისა და მასალას, მესამედ გლეხს სესხი უნდა მიეცეს თავის მოსავლის აღებისთანავე, რათა საშუალება ექნეს თავისი მეურნეობის პროდუქტები ხელსაყრელ ფასებში გაანაღდოს.

ამ მიზნების მისაღწევად სასოფლო-სამეურნეო ბანკი შეუთანხმდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა რწმუნებულების მესამე ყრილობას, რომელმაც გაიზიარა საქ. სასოფ.-სამეურ. ბანკის საკრედიტო გეგმა.

ამხ. კაკაბაძის მოხსენების შემდეგ ყრილობის მეექვსე სხდომა იხურება ნაშუადღევის 2საათზე.

მეშვიდე სხდომა

თავმჯდომარეობს მიხა ცხაკაია.

განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობა.

(ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება)

ჩვენი ამოცანები სახალხო განათლების დარგში.

— ამხანაგებო! ოქტომბრის რევოლიუციამ პროლეტარიატის და საერთოდ მშრომელი მასების წინაშე დააყენა უძნელესი ამოცანა—მეფის თვითმპყრობელური სახელმწიფოს ნანგრევებზე ჩვენ უნდა აგვეშენებია ახალი პროლეტარული სახელმწიფო.

თვითმპყრობელობამ მშრომელთა მასებში დასტოვა უვიცობა, უმეცრება და სიბნელე. მშრომელი მასების მომზადება, მათი აღზრდა, მათში კულტურის შეტანა იყო მთავარი ამოცანა, რომელიც დასმული იყო საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სახალხო განათლების სფეროში. მეორეს მხრივ, ჩვენ ყურადღება უნდა მიგვექცია ამ ახალგაზრდა თაობისათვის, რომელიც ჩვენი მომავალია. ის უნდა ჩაგვეყენებინა ისეთ პირობებში, რომ მას იგრძნო ძველი ცხოვრების უარყოფითი მხარეები, ადრევე და მტკიცეთ შეითვისოს კოლექტიური სულისკვეთება და ბუნებრივათ მასში აღიზარდოს კომუნისტური სახელმწიფოს დამცველი და აღმშენებელი.

ამ რთული მუშაობის შესასრულებლად განათლების სახალხო კომისარიატმა დაარსა რამოდენიმე განყოფილება, რომლებიც უძღვებოდენ განათლების საქმეს ჩვენს რესპუბლიკაში. 1. სოციალური აღზრდის მთავარმართველობა, 2. პროფტეხნიკური განათლების მთავარმართველობა, 3. სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობა, 4. პოლიტიკური განათლების მთავარმართველობა, 5. საორგანიზაციო-საადმინისტრაციო მთავარმართველობა, 6. სახელოვნო საქმეთა მთავარი საბჭო, 7. სახელმწიფო გამომცემლობა, 8. ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარმართველობა.

ამხანაგებო, ყველა ამ ორგანოების მუშაობაში ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები, მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ, რომ ის, რაც გაკეთებულია, წვეთია ზღვაში იმ დიდ მუშაობასთან შედარებით, რომელიც ჩვენ მომავალში მოგველის.

სოციალური აღზრდის მთავარმართველობა

საბავშვო ბაღები

საქართველოს გასაბჭოებამდე ჩვენში არავითარი ყურადღება არ ჰქონია მიქცეული სოციალური აღზრდის საქმეს, კერძოთ სკოლის ასაკამდე აღზრდას, „დემოკრატიული“ მთავრობისაგან. ამ დარგში მემკვიდრეობით არაფერი მიგვიღია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თბილისში არსებობდა მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი და ორი საქველმოქმედო თავშესაფარი.

სკოლის ასაკამდე აღზრდის მოწესრიგების დაწყება ჩვენ ისეთ პირობებში მოგვიხდა, როცა ჩვენ არ გაგვაჩნდა არც საბავშვო დაწესებულება და არც შესაფერი ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი პედაგოგიური შემადგენლობა, თანაც ნივთიერ სახსარსაც მოკლებული ვიყავით, სახელმწიფოს მეტად მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო.

საქმის სახელმძღვანელოთ დაარსებული იქნა სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილება, რომელიც საბავშვო დაწესებულებათა ტიპებათ დასახა: საბავშვო ბაღი, საბავშვო სახლი, კერა, საზაფხულო ახალშენები, და მოედნები. ამ დაწესებულებათა მიზანი და პედაგოგიური მუშაობის მეთოდი თითქმის ერთი და იგივეა, როცა საქმე გვაქვს სკოლის ასაკამდე ბავშვებთან, ე. ი. 3 წლიდან 8 წლამდე; ისინი ერთი მეორისაგან განსხვავდებიან ბავშვების დაწესებულებაში დარჩენის ხანგრძლივობით და წლის დროსთან დაკავშირებულ მუშაობის სხვადასხვაობით.

ამ ჟამად ჩვენ გვაქვს 50 მეტი საბავშვო ბაღი, რომელთაგან 24 თბილისშია, დანარჩენი სამაზრო ცენტრებში. სოფლათ ასეთი ბაღები არ არის. სკოლის ასაკამდე აღზრდა სოფელს ჯერ არც კი შეხებია, სოფლის ბავშვი ჯერ ჩვენი გავლენის გარეშე იმყოფება. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება დაუშვებელია; სწორეთ სოფლის ბავშვს უფრო ესაჭიროება კოლექტიური ცხოვრებისა და საქმიანობის პირობებში ყოფნა, რომ თავი დააღწიოს ძველი ყოფა-ცხოვრების გავლენას და არ შეესისხლხორცოს ინდივიდუალისტურ მეურნეობაზე დაფუძნებული სოფლის ოჯახის ზოგი უკუღმართი შეხედულებანი.



შაქრო ბურდული
(დუშეთის მაზრიდან) უპარტიო.

ჩვენი მოღვაწეობა ამ დარგში დღემდე მხოლოდ ქალაქში მიმდინარეობდა, დღეიდან კი სოფლისაკენ უნდა ვიბრუნოთ პირი. განზრახულია ახლო ხანში დიდ სოფლებში გაიხსნას 30 საბავშვო ბაღი.

საბავშვო ბაღები, სახლები, ახალშენები, მოედნები, ინტერნატები და სხვა კომუნისტური აღზრდის ორგანოებია. თავის დანიშნულებას ეს დაწესებულებანი იმდენად შეასრულებენ, რამდენადაც მჭიდროდ დაუკავშირდებიან ახალგაზრდათა კომუნისტურ ორგანიზაციებს: ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირი და პიონერთა ორგანიზაციები—აი ის ფორმები, რომლებშიაც ჩამოყალიბდა ახალგაზრდობის მასიური კომუნისტური მოძრაობა; ეს ორგანიზაციები, ეს მოძრაობა — კომუნისტური აღზრდის სკოლაა. ცხადია, საბავშვო დაწესებულებანი, რომლებიც იმავე მიზნებს ემსახურებიან, ვერ დარჩებიან ბავშვთა მოძრაობის გარეშე. საბავშვო ბაღები და სახლები—ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთ ფორმად უნდა ვაქციოთ.

სასკოლო მუშაობა

ჩვენი საბავშვო ბაღები, სადაც წავლობენ ბავშვები 3—8 წლამდე, არსებობენ სკოლის გარეშე და ჩაყენებული არიან განსაკუთრებულ პირობებში; თვით სკოლა კი ცხრაწლიანია და იყოფა ორ საფეხურად—მეორე საფეხური თავის მხრივ იყოფა ორ კონცენტრად. პირველი საფეხური შესდგება ოთხი ჯგუფისაგან, მეორე საფეხურის პირველი კონცენტრი სამი ჯგუფისაგან და მეორე საფეხურის მეორე კონცენტრი—ორისაგან.

პირველი საფეხურის სკოლა, ანუ ოთხწლედი, რესპუბლიკაში ყველაზე უფრო მეტია—1312 და წარმოადგენს მასიურ სკოლას, რომლის ბავშვთა ჰასაკი განისაზღვრება 8—12 წლით. ოთხწლედ დამთავრებული ან პირდაპირ აგრძელებს სწავლას შრომის სკოლაში, ე. ი. გადადის მეხუთე ჯგუფში, ანდა, თავისი სურვილის მიხედვით, უფლება აქვს გადავიდეს საფაბრიკო-საქარხნო, სასოფლო-სამეურნეო და სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში.

მეორე საფეხურის სკოლის პირველი კონცენტრი, რომელიც პირველი საფეხურის სკოლასთან ერთად შვიდწლედს შეადგენს, რესპუბლიკაში 292-ია. იგი თავისი პროგრამის შინაარსით წარმოადგენს პირველი საფეხურის გაფართოვება-გაღრმავებას. მთელი მისწრაფება ჩვენი იქითაა მიმართული, რომ რაც შეიძლება ჩქარა იქცეს იგი მასიურ სკოლათ.

მეორე საფეხურის მეორე კონცენტრი (8—9 ჯგუფი) პირდაპირი გაგრძელებაა შვიდწლედის და მათი რიცხვი რესპუბლიკაში უდრის 60-ს. თავის პროგრამით იგი წინა ჯგუფებში მიღებული ცოდნის დამთავრება, გაფართოვება და თავისმოყრაა. ამ საფეხურით თავდება შრომის სკოლა და სოციალური აღზრდის მოქმედების საზღვარი.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს, მუშფაკებს, უმაღლეს სასწავლებლებს, საბავშვო გამომცემლობას, სკოლების მომარაგებას, სახელგამს, ხელოვნების დარგებს (თეატრი, კინო და სხვა) და დაწვრილებით დაახასიათა მათი მდგომარეობა და აღნიშნა ამ სფეროში მიღწეული შედეგები.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენების შემდეგ წითელი არმიის სარდალმა ამხ. კორკმა მოხსენება გააკეთა ტერიტორიალური ნაწილების [illegible] შესახებ. მოხსენება [illegible] ანგარიშში დაბეჭდილი იქნება [illegible]

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭო

სტიქიური უბედურება რაჭაში

(საუბარი საქ. საბჭოთა ყრილობის დელეგატ ამხ. ვერა ლობილაძესთან)

ვერა ლობილაძე—საქართველოს საბჭოთა ყრილობის დელეგატი, ერთი აქტიური გლეხი ქალი ბუგეულის თემში (რაჭის მაზრა) იგი მუშაობს სათემო ორგანიზაციებში და ხელმძღვანელობს ქალთა მოძრაობას ბუგეულის რაიონში. მისი წაქეზებით და გამხნევებით ბევრი ქალი ჩაება საზოგადოებრივ მუშაობაში. საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე იგი აირჩიეს პრეზიდიუმის წევრად. იგი გამოგზავნილია სწორედ იმ სოფლიდან, რომელსაც თავს დაატყდა დიდი სტიქიური უბედურება. ჩვენს თანამშრომელს ამხ. ვერა ლობილაძესთან ჰქონდა საუბარი რაჭის დამეწყრის შესახებ.

— საერთოდ რაჭის დამეწყრული სოფლების შესახებ, მე დაწვრილებითი ცნობები არ მომეპოვება.—სთქვა ამხ. ლობილაძემ, მე ვიცი დანამდვილებით მხოლოდ ის, რაც მოხდა ბუგეულის თემში.

— უბედურება უეცარი და მოულოდნელი არ ყოფილა. საერთოდ გაზაფხულზე თოვლის დნობისა და ხშირი წვიმების დროს რაჭველები შეჩვეული ვართ ადგილების დამეწყრას.

მაგრამ ბუგეულის მეწყერი თავისი სიდიდით იშვიათია.

მეწყერი მთლიანად მოედო სოფლის ნახევარს—ზედა ნაწილს და დაანგრია გლეხებით დასახლებული რამოდენიმე უბანი.

— ამ მეწყრების დროს ადამიანის მსხვერპლი ხომ არ ყოფილა?

— ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა და ეს იმ გარემოების წყალობით, რომ მეწყერი არ მომხდარა უეცრად, მას ხალხი მომზადებული შეხვდა: მიწის ზედაპირმა ფერდობზე ჩამოცურება იწყო ნელნელა, ოდნავ საგრძნობლად, შემდეგ, წვიმების გახშირების მიხედვით თანდათან იმატა და ბოლოს, მიწის ზედაპირზე იწყო სწრაფად გადალაგება-გადმოლაგება, რასაც სახლების ნგრევა და წამოქცევა მოჰყვა.



ამხ. ვერა ლოზილაძე.

— რამდენი გლეხი იქნება დაზარალებული?

— დაახლოებით 45—50 კომლი. მათში ზოგი მოსახლის კარმიდამო სრულიად დანგრეულია, თავშესაფარიც არ მოეპოვებათ და დროებით შეხიზნული არიან მეწყრებისაგან დაუზიანებელ უბნებში—მეზობლებთან.

— მეწყერმა ვნება მიაყენა თუ არა პირნახულს და შინაურ პირუტყვს?

— ხორბლეულობას არავითარი ზიანი არ მოსვლია, დაცხდენ მხოლოდ მიწაში ჩაფლული ქვევრები და რამოდენიმე გლეხს დაეღვარა ღვინოები. საქონელი მცირე გამოკლებით სიკვდილს გადარჩა.

— დამეწყვრა გრძელდება ახლა თუ არა?

— ჩემს იქ ყოფნისას მეწყერი არ ყოფილა შეჩერებული. იგი აუცილებლად გაგრძელდებოდა, რადგან იმ დღეებში განუწყვეტლივ სწვიმდა.

უბედურების მესამე დღეს ჩამოვიდა კომისია, რომელმაც დაათვალიერა დამეწყრული ადგილები.

კომისიის დასკვნით ეს ადგილები საცხოვრებლად აღარ გამოდგება. გლეხები აუცილებლად უნდა აიყარონ და დასახლდენ უფრო მკვიდრ და შეურყეველ ადგილებზე.

— როგორ ფიქრობთ დამეწყრილი ადგილები სამუშაოდ გამოდგება?

— როგორ არა, დამეწყრილი ადგილი ყოველთვის კარგ მოსავალს იძლევა, როგორც გადაბრუნებული, კარგათ დაბარული ადგილი. მაგრამ დამეწყვრის დროს მიწის სივრცე კლებულობს, რადგან მიწის ნაწილი ნაპრალებში და ხევებში იჩეხება.

— რა მდგომარეობაში არიან დაზარალებულნი?

— მდგომარეობა მათი მეტად უმწეოა. არა აქვთ საიმედო ღამის გასათევი ბინა.

— ისეც არ იყოს, ღარიბ და უფულო გლეხების ხელახლა დასახლება და მოწყობა მეტად ძნელი საქმეა.

გლეხობას იმის იმედი აქვს, რომ მთავრობა დახმარებით და სესხით მიეშველება დანგრეულ მოსახლეებს.

— მე, როგორც დელეგატს, დამავალეს მეუწყებია მათი თხოვნა მთავრობისათვის.

— მე დარწმუნებული ვარ მუშურ-გლეხური მთავრობა უყურადღებოდ არ დატოვებს გლეხების თხოვნას—დაასრულა ამხ. ვერა ლობილაძემ.

ნ. ე—ლი.

პარტიული ცხოვრება

საშეფო მუშაობა სოფლად

როგორც ვიცით, სოფლად კულტურულ-ეკონომიური აღმშენებლობითი მუშაობის ტემპი სავსებით დამოკიდებულია ადგილობრივი პარტიულ უჯრედების მუშაობაზე. უჯრედების წევრებმა თავიანთი აქტივობით უნდა შესძლონ ფართო მასების ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობაში. თუ უჯრედი ავტორიტეტით, არ სარგებლობს ფართო მასაში, მაშინ უპარტიო მასის აქტივობის გაზრდაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მაგრამ რა არის საჭირო იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად გამოვაცოცხლოთ სოფლად ჩვენი უჯრედების მუშაობა.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სოფლად ზოგიერთი ჩვენი პარტუჯრედი დაწინაურებულია და ზოგიც კი ჩამორჩენილი, მაშინ ყველასათვის ცხადი გახდება, თუ რამდენად ხელის-შემწყობი იქნება სხვა ღონისძიებებსა და საშუალებებთან ერთად საშეფო ხაზით მუშაობის წარმართვა.

შეფობის საქმე გაცილებით უფრო კარგად მიმდინარეობს ქალაქში, ვინემ სოფლად. ამ არანორმალურ მოვლენას ყოველ მიზეზს გარეშე საჭიროა თავი დავაღწიოთ.

ამასთანავე ერთი სოფლის უჯრედმა მეორე სოფლის უჯრედის მუშაობის გასაცნობლად უნდა გამოყოს შესაფერი კომისია, რომელიც დაესწრება იქაური უჯრედის კრებებს და გაეცნობა მის მუშაობას, ასევე უნდა მოიქცეს თავის მხრივ მეორე უჯრედიც. დაწინაურებულმა უჯრედმა ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ჩამორჩენილ უჯრედს, მაგრამ ამ დახმარებამ არამც და არამც არ უნდა მიიღოს ბრძანების ხასიათი ჩამორჩენილ უჯრედისადმი როგორც ეს ხდება ხშირად. ურთიერთ დახმარება უნდა ხდებოდეს ამხანაგური თანამშრომლობის ნიადაგზე.

ზედმეტი არ იქნება, რომ ხანდახან მაინც, თუ სისტემატიურად არა, ხდებოდეს ამა თუ ის სოფლების უჯრედების გაერთიანებული კრებების მოწვევა, რაც დაამყარებს და შექმნის მათ შორის უშუალო და მჭიდრო კავშირს.

ყველაზე მეტად მავნებელია უჯრედისათვის მისი კარჩაკეტილობა, რის აღმოფხვრის საქმესაც განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მიაქციონ ადგილობრივად მომუშავე პარტამხანაგებმა.

ასე რომ სოფლად პარტუჯრედების შორის საშეფო მუშაობის გაძლიერება ერთი საუკეთესო საშუალებაა მათი მუშაობის გამოცოცხლების საერთო საქმეში.

კ. წალენჯიხელი.

„ცენტროტრამოტის“ კომუჯრედი

„ამხ. ვეჟორკევიჩის და ბაგინსკის მოკვლა ეს გამხეცებულ, უფსკრულის პირას დამდგარ პოლონელ პანების საქმეა. ის მოხდა, რასაკვირველია, პოლონეთის ხელისუფლების ლოცვა-კურთხევით“,— ნათქვამია რეზოლიუციაში, რომელიც მიიღო „ცენტროტრამოტის“ კომუჯრედის ღია კრებამ ა. ლ. კ. კ. უჯრედთან და უპარტიო მუშებთან ერთად. „დროა ბოლო მოეღოს გაიძვერა პანების ბოროტმოქმედებას. ყველას გასაგონათ ვაცხადებთ—ჩვენ მზად ვართ,—ასე თავდება „ცენტროტრამოტის“ მუშების რეზოლიუცია.

გ—ვი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

კომკავშირის მუშაობა ზესტაფონის რაიონში

ზესტაფონის რაიონში კომკავშირის ორგანიზაცია არსებობს 1921 წლიდან და რაც დრო გადის, ამ ორგანიზაციის ქსელი უფრო ფართოვდება და ძლიერდება.

ამჟამად მთელ რაიონში 21 უჯრედია, წევრთა რიცხვი 800-დე აღწევს, რომელთა შორის 125 კანდიდატია. ამ რაიონში მუშური უჯრედი ითვლება 10, გლეხური 6, მოწაფეთა კი 5. უჯრედებში დიდი ყურადღება ექცევა პოლიტმეცადინეობას, სულ 9 პოლიტწრეა და ერთიც ლენინიზმის შემსწავლელი წრე. აგრეთვე ჩამოყალიბებული არის სხვა წრეებიც მაგ. ლიტერატურული, დრამატიული და სხვ.

უკანასკნელ ხანებში რაიკომმა მუშაობის გაღრმავების და აქტივის გაზრდის მიზნით შექმნა ამ რაიონში ორი თემკომი: შორაპნისა და ძირულის. შორაპნის თემში არსებობს ერთი დრამატიული წრე და ორი პოლიტწრე. ძირულის თემში კი ორი პოლიტწრე და ერთი ლიტერატურული. აქედან ცხადია, რომ პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა ამ რაიონში სასურველად არის დაყენებული, მაგრამ კლუბის უქონლობა ამ მხრივ მეტად აფერხებს მუშაობას.

საჭიროა რაიკომმა მომავლისათვის მიაქციოს ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება და ამ საქმეში მას გაუწიონ დახმარება როგორც პარტიულმა, ისე საბჭოთა ორგანოებმა.

მუშაობა მოჯამაგირეთა შორის.

რაიკომი მოჯამაგირეთა შორის მუშაობას წინედაც დიდი ყურადღებით ეპყრობოდა. მაგრამ წარსულში ამ მუშაობას მაინცდამაინც დიდი ნაყოფი არ გამოუღია. ხოლო ბოლო დროს ამ დარგში საგრძნობ მიღწევებთან გვაქვს საქმე. კერძოდ კი შესაძლებელი გახდა კომკავშირის რიგებში 30 მოჯამაგირის (ბატრაკის) ჩაბმა.

მუშაობა ქალთა შორის.

თუ წინად ჩვენი ორგანიზაცია თავის გარშემო იკრებდა თითქმის სრულიად უმნიშვნელო ნაწილს ახალგაზრდა ქალებისას, დღეს, პირიქით მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ამჟამად ორგანიზაციაში ირიცხება 60 ქალი.

აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რაიკომმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა ქალების სხვადასხვა პრაქტიკულ საწარმოებებში ჩაბმის საქმეს, რამაც სათანადო ნაყოფიც გამოიღო.

მოწაფეთა შორის მუშაობა.

თუ ჩვენს ორგანიზაციას 1921—1922 წელში მოწაფეობა უნდობლობის თვალით უყურებდა, დღეს მას შემდეგ, რაც მოხდა ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციის თვითლიკვიდაცია, მოწაფეთა მასსამ პირი იბრუნა ჩვენსკენ. ამჟამად თითქმის ყველა სასწავლებლებთან არსდებიან კომკავშირის უჯრედები—მოწაფეების კომკავშირში მიღების საქმეს ჩვენი უჯრედები ძლიერ ფრთხილად ეკიდებიან.

ორგანიზაციაში ვღებულობთ მხოლოდ მოწაფეთა იმ ნაწილს, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს სოფლის მეურნეობასთან და იცითებს, რომლებიც გამოსულნი არიან უღარიბეს წრიდან. დანარჩენებს კი თავს ვუყრით პოლიტწრეებში.

დამოკიდებულება პარტიასთან.

ამ ერთი თვის წინად რაიონის მასშტაბით ჩატარდა პარტიის და კომკავშირის დაახლოების კვირეული. კვირეულის ჩატარების დროს მოხდა კომკავშირელების გადარიცხვა პარტიაში. აგრეთვე სათანადოთ გამორკვეულ იქნა პარტიის და კომკავშირის უჯრედებს შორის დაუკავშირებლობის მიზეზები და გამოტანილი იქნა დადგენილება ამ ნაკლის აღმოფხვრის შესახებ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ნაკლი ჯერ კიდევ არ არის სავსებით თავიდან აშორებული. წარმომადგენლობითი სისტემა კიდევ გაუტარებელია. კომკავშირის უჯრედებს თავის მხრივ გამოყოფილი ჰყავთ წარმომადგენლები. კომუჯრედის კრებებზე დასასწრებლად, მხოლოდ პარტუჯრედები კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისებს, არ აგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს ჩვენს კრებებზე დასასწრებლათ, რასაც საჭიროა შემდეგისათვის მიექცეს სათანადო ყურადღება.

ბავშვთა შორის მუშაობა.

ქ. ზესტაფონის მასშტაბით ითვლება „ბ. კ. ო.“-ის 5 კოლექტივი, რომლებშიაც მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს რაიკომის მიერ მიმაგრებულ აქტიურ ამხანაგების წყალობით.

ამასთანავე ერთად რაიკომთან შექმნილია კომკავშირის წევრებისაგან ინსტრუქტორების კადრი, რომლის საშუალებით მომავალში შესაძლებელი გახდება ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციები მოეფინოთ სოფლადაც.

სეით ს—ვი.

პროფკავშირებში

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი

ორშაბათს, 13 აპრილს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში, კავშირების ცენტ. გამგ. პ | მ. მდივნებისა და ფაბრიკა-ქარხნისა და ადგილობრივი კომიტეტების წარმომადგენელთა თანდასწრებით მოწვეულია **საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის მესამე სესია.**

დღის წესრიგშია: 1. მოხსენება პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ—(მომხ. ამხ. **გ. ყურულაშვილი**)

2. მოხსენება პროფორგანიზაციების საზაფხულო მუშაობის შესახებ—(მომხ. ამხ. [illegible]).

3. საკითხი [illegible] [illegible] რეორგანიზაციის შესახებ—(მომხ. ამხ. [illegible]).

4. ფაბრიკა ქარხნის კომიტეტებისა და ადგილკომების დებულების განხილვა და დამტკიცება.

5. სამაზრო პროფბიუროების დებულებების განხილვა და დამტკიცება.

6. მოხსენება საწარმოო თათბირების შესახებ—(მომხ. ამხ. **მაჩაიძე**).

7. მოხსენება ეკონომიურ მუშაობის შესახებ—(მომხ. ამხ. **მაჩაიძე**).

8. მოხსენება საკურორტო სანატორიუმო და დასასვენებელ სახლების შესახებ კამპანიების ჩატარებაზე—(მომხ. ამხ. **ელბაქიანი**).

9. სოციალურ დაზღვევის თათბირების შესახებ—(მომხსენ. ამხ. ელბაქიანი)

10. მოხსენება კავშირების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

11. მოხსენება ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ—(მომხ. ამხ. **სარქისოვი**).

12. მიმდინარე საკითხები.

პროვინციიდან პლენუმის წევრები უნდა ჩამოვიდნენ 12 აპრილს, სესიის გახსნის დრო გამოცხადდება დამატებით.

მუშათა ცხოვრება

მოგვეცით დროზე შრომის ხელფასი.

(სამპროფბიუროს და აღმასკომის საყურადღებოთ).

დუშეთის მაზრაღმასკომის მუშამოსამსახურეებს აგერ მესამე თვეა, რაც არ მიუღიათ კუთვნილი ხელფასი. ამავე დროს კი მაზრაღმასკომი აძლევს დახმარებას ისეთ პირებს, რომელთაც სრულებით არ ესაჭიროებათ იგი და იმდენს, რომ მისი ჯამაგირის რაოდენობას აჭარბებს ორ-სამჯერ. ეს დაუშვებელია ჯერ აღმასკომისათვის და შემდეგ კი პროფბიუროს მდივნის და ადგილკომისათვის. თუ ზედმეტი ფული მოეპოვება აღმასკომს, მან ჯერ უნდა დააკმაყოფილოს მუშა-მოსამსახურენი ჯამაგირით და შემდეგ კი დახმარება გაუწიოს იმათ, ვისაც ასეთი ეკუთვნის. სჩანს, რომ პროფბიურომ და ადგილკომის მდივანმა არ იციან თავიანთი მოვალეობა. მათ მხოლოდ იციან კარგათ ის, რომ შემოგვატანინონ საწევრო გადასახადი და სხვა არაფერი. აღმასკომის მუშა-მოსამსახურენი კი დაიარებიან სამსახურში ტიტვლები და ზოგი კი მათგანი მშიერებიც არიან. მათ კი ყურადღებას არავინ აქცევს. სამპროფბიურო, გააკეთე ის, რაც რომ მუშა-მოსამსახურეებს ესაჭიროება და უწამლე მას, რაც რომ მუშა-მოსამსახურეს სტკივა.

ინფ. ადგილობრივი.

ეს საქმე უნდა მოაგვაროთ.

(ცენტროტრამოტას საყურადღებოთ)

თბილისის სახალხო სადგურზე არსებობს სანიტარული კომისია, რომელიც შესდგება 12 კაცისაგან. ესენი მორიგეობენ დღე და ღამე, ვინაიდან ხშირად მატარებლებით ჩამოდიან ავადმყოფები სხვა და სხვა გადამდები სენით და სხ. აღმოჩენილი ავადმყოფები მიგვყავს რკინის გზის საავადმყოფოში. ჩვენ კი არა გვაქვს ფართუკები და არც გვიკეთებენ დეზინფექციას, რომ ჩვენს ცოლშვილს არ გადაედოს ავადმყოფობა.

საჭიროა სპეცფართუკები და დეზინფექციის საქმის მოწესრიგება.

მუშა გიგო დანდუროვი.

გაძევებული უნდა იქნას ასეთი მდგმური.

(თბილისის მილიციის საყურადღებოთ).

ტროცკის ქ. № 3 სცხოვრობს ვინმე ქალი ელისაბედი პეტროსიანი. არსად არ მსახურობს. მისგან საშინლად შეწუხებულია ამ სახლის-ყველა მოსინადრეები. მისი ლანძღვა-გინებას და ჩხუბს არ აქვს საზღვარი. ყოვლად უმიზეზოდ აწუხებს თავის მეზობლებს, განსაკუთრებით, მიზანში ჰყავს ამოღებული აქვე მცხოვრები 90 წლის მოხუცი ქალი **მართა შაროევი.** ხშირად გვესმის უკანასკნელის კივილ-ყვირილი: „მომეხმარეთ, მომკლა პეტროსიანმაო“. პირდაპირ აუტანელია ამ ქალბატონის აქ ცხოვრება, მუდამ ჩხუბი და აყალ-მაყალი მოსვენებას არ გვაძლევს ისედაც დღიური მუშაობით დასუსტებულ ადამიანებს.

ვითხოვთ მისი ამ ბინიდან გადასახლებას.

ხელს აწერს 15 მდგმური.

სახლის პატრონის ოინები

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

ყველამ ვიცით, თუ რა მდგომარეობას განიცდიან ოთახების უქონლობით ჩვენი მუშები; ოთახები ან სრულებით არ არის ან და თუ იშოვეს, სახლის პატრონი ეკითხავს ხოლმე—ვაჭარი ხარ თუ მოსამსახურე და „სინამდვილის“ გამოსარკვევად თან გაყოლებს თავის შუაკაცს, რომელსაც ეუბნება: აბა ნახე, აქვს დუქანი თუ არა და როგორი დუქანია. თუ დუქანი გაქვს, ოთახში უნდა მისცე 15—20 მანეთამდე და თუ მოსამსახურე ხარ, მაშინ ოთახს ვინლა გაღირსებს.

ოთახში სახლის პატრონებს დაკავებამდის უწყვიათ ბარგი იმის დასაფარავად, რომ ოთახი თავისუფალია; თუ მისცემ იმდენს, რასაც თხოულობს სახლის პატრონი, ის ამ ბარგს გაიტანს და ჩასახლდები შიგ. თუ კი გაიგო, რომ მოსამსახურე ხარ, მაშინვე გეტყვის, რომ დგმურები უკვე ჩასახლდნენ და ოთახზე უარს გეტყვის.

აღმასკომი, სახლის პატრონების ამგვარ ოინებს უნდა მოუღოთ ბოლო! მუშკორი—ი. ჯ.

გამოგზავნილი წერილებიდან

დააჩქარეთ ეს საქმე

(მიწა-ტყის კავშ. და შრ. კომ. საყურადღებოდ)

ორთაჭალაში მომუშავეთ (საადგ.-მამულო განყ.) წარსულ ზაფხულში სპეც-ტანისამოსი არ მიუღიათ, რის მაგიერ ითხოვენ კომპენსაციას, მაგრამ ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს.

საჭიროა ამ საქმის სასწრაფოდ მოგვარება.

მუშკორი მემუხრუქიშვილი

ალაგმეთ გარყვნილი ავარები

(მთ. მილიციის საყურადღებოდ)

ნავთლუღში ნავთის საწყობთან ბინადრობენ „ციგნები“, გარყვნილი, ავარა ხალხი მოტყუებით სცდილობს მათი ქალების შეცდენას, რამშიც ხელს უწყობენ მათ მათ მიერ დამთვრალი ციგნებივე.

საჭიროა ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და ეს გარყვნილი ავარები პასუხისგებაში მიეცნენ. მუშკორი ი. კასე.

მიიღეთ ზომები

(ქალ. აღმასკომის და მილიციის საყურადღებოდ)

ნავთლუღში მაუკინის მოედანზე აღმასკომის მთავარ წყალსადენის მილი გაფუჭებულია და წყალი უპატრონოდ იღვრება.

საჭიროა აღმასკომმა გააკეთოს მილი და მილიციას კი დაევალოს მიაქციოს ყურადღება ამ მილის მოხმარებას. ინფ. ვართანოვი.

ჩვენი პასუხი

„კომუნისტის“ № 50-ში მოთავსებულ წერილში აღნიშნული გარემოებანი სათაურით: „მოუღეთ ბოლო ჩვენ ტანჯვას“ არ დადასტურდა როგორც მილიციის, ისე პროკურატურის გამოკვლევით, რის გამოც საქმე ბაბალე გაწერელიასი ლეონ აბულოვთან წარმოებით მოისპო პროკურატორის მიერ.

აღმ. საქ. პროკურორის მაგიერი ხელმოწერილია.

აბრეშუმის თესლის დარიგება

თესლი მეაბრეშუმეებს ნისიათ დაურიგდებათ

ქუთაისში დაბრუნდა ამხანაგობა „აბრეშუმის“ საორგანიზაციო ბიურო. ბიუროს უკვე აქვს შემუშავებული თესლის დარიგების გეგმა. ამ ერთ კვირაში დაიწყება თესლის დარიგება ერთიან მომხმარებელთა საშუალებით. ყველა მეაბრეშუმეებს შეუძლია თესლი მიიღოს თავის რაიონის კოოპერატივიდან. თესლი დაურიგდებათ მეაბრეშუმეებს ხელწერილის ქვეშ ნისიათ პარკის მოყვანამდე. ამხანაგობა „აბრეშუმს“ აქვს დამზადებული ყველა მეაბრეშუმეთათვის საყოფი თესლი, როგორც ადგილობრივი მეთესლეების მიერ დამუშავებული, აგრეთვე საზღვარგარეთიდან გამოწერილი. როგორც ადგილობრივი, აგრეთვე საზღვარგარეთელი თესლი შემოწმებულია თბილისის საბრეშუმო სადგურის მიერ.

ამ დღეებში იქნება გამომუშავებული თესლზე ერთიანი ფასი საქართველოს ფარგლებში.

დახმარება სასოფლო მეურნეობას

სესხი სათესლე მასალის შესაძენათ

იმ გამუდმებულმა ყინვებმა, რომელსაც ჰქონდა ადგილი წარსულ ზამთარში, მთელს ამიერ-კავკასიის ფედერაციის მასშტაბით გამოიწვიეს სათესლე მასალის ნაკლებობა.

ამ მიზნით, ა.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გახსნა ა.-კავკ. რესპუბლიკების სასოფ.-სამ. ბანკებს სათესლე სესხი, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: საქართველოს ბანკს, საქართველოსა და მასში შესავალ ავტ. რესპუბლიკებისათვის—150.000 მანეთი, აქედან სიმინდისათვის—30.000 მანეთი და ხორბლისა და ქერისათვის—120.000 მანეთი. აზერბეიჯანის სასოფ.-სამეურნეო ბანკს—94 ათასი მანეთი და სომხეთისას—100.000 მანეთი. ესე იგი მთელს ამიერ-კავკასიაზე გახსნილია კრედიტი ამ მიზნით, საერთო ჯამით—344 ათასი მანეთის ფარგლებში.

საბჭოთა სასამართლო

მამის მკვლელი.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ჩანგიშვილის თავმჯდომარეობით გაარჩია მოქ. ნიკოლოზ ქალაქურაშვილის და ლევან ბარაშვილის საქმე. აღნიშნულ პირებს წარდგენილი ჰქონდათ ბრალდებად სისხლის სამართლის კოდექსის 15 და 146 მუხლებში გათვალისწინებული დანაშაული, ე. ი. წინასწარი განზრახვით, წინასწარ მოფიქრებული გეგმით კაცის მოკვლა.

საინტერესოა ის გარემოება, რომელიც წინ უძღოდა ამ საზიზღარ ბოროტმოქმედებას.

სოფელ მანავში (სიღნაღის მაზრა) ცხოვრობდა მოხუცი მიხეილ ქალაქურაშვილი, რომელსაც ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი სახელად ნიკოლოზ. მიხეილს ჰქონდა თავისი საცხოვრებელი მამული, რომელსაც პატრონობდა და განაგებდა თვითონ, როგორც ოჯახის უფროსი. მამასთან სცხოვრობდა თავისი ცოლ-შვილით მისი ვაჟი ნიკოლოზ, რომელსაც არ მოსწონდა მამის უფროსობა ოჯახში და ხშირად წინადადებას აძლევდა მას გადაეცა ნიკოლოზისათვის საცხოვრებელი მამულის გამგეობა, რაზედაც ის ყოველთვის უარს ღებულობდა

ნიკოლოზმა გადასწყვიტა მამის მოკვლა, რათა მისი მოკვლის შემდეგ თვითონ გამხდარიყო მთელი ქონების პატრონი. ეს საზიზღარი განზრახვა მან გაანდო თავის ცოლის და ცოლის ბიძაშვილს ლევან ბარაშვილს და შეუდგა მის განხორციელებას. 1924 წელს 31 დეკემბერს ნიკოლოზ ქალაქურაშვილი და ლევან ბარაშვილი ადგენენ შეთანხმებულად „მოქმედების გეგმას“ და ღამით კარგათ შეზარხოშებულნი ღვინით, შეიარაღებულნი „ბერდანკებით“ მიეპარებიან საწყალ მოხუცს, რომელსაც სძინავს თავის ოთახში და ძილშივე ჰკლავენ მას.

სასამართლომ ბრალდებულებს მიუსაჯა რვა-რვა წლით თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელ სახლში მოთავსებით, სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ მიიღო მხედველობაში ბრალდებულების შეუგნებლობა, გაუნათლებლობა და 28 მუხლის ძალით რვა-რვა წელი შეუმცირა ხუთ-ხუთი წლით. ამნისტიის ძალით მსჯავრდადებულთ სასჯელი „გაუნახევრდათ.

ქრონიკა

— **ჯიშიან ცხენთა მოშენების** მიზნით საქ. საგეგმო კომისიამ დაადგინა მიწად-მოქ. კომისარიატის განკარგულებაში გადასცეს 23,768 მან.

— **სოხუმის თამბაქოს ქარხნის** მუშაობის გასაფართოებლათ ა-კ. უმ. ეკ. საბჭომ გადასცა 50,000 მან.

— **საექიმო დაწესებულებების გახსნა ნავთლუღში.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასცა საჭირო თანხა ნავთლუღში დაზღვეულთათვის გინეკოლოგიურ კაბინეტისა და აფთიაქისათვის.

— **ბავშვთა ბაგა.** ქ. ჯანმრთელობის განყოფილება თბილისში ხსნის საექიმო დაწესებულებების მოსამსახურეთა ბავშვებისათვის ბაგას.

— **დაზღვევის გადასახადის** თავის დროზე შეუტანლობისათვის დამზღვევ კასაში მარტში ჯარიმის სახით შემოვიდა 4,191 მ. 88 კ.

— **დასამარხი ფული.** მარტში დამზღვევ კასამ გარდაცვლილ დაზღვეულ კასის წევრების დასამარხ ფულად გასცა 2,005 მ.

— **ჯანსახკომმა** გადასწყვიტა საავადმყოფოებთან მოაწყოს ახალი ფასიანი საწყობები.

— **ვაზის ნახვევი.** სრ. საქ. ინვალიდთა კავშირმა დაადგინა თავის განყოფილებებს დაუგზავნოს ვაზის ნახვევი გლეხებისათვის მისაწოდებლათ.

— **ჩაის მეურნეობა.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის ცნობით საქართველოში ჩაის ნარგავების გასავრცელებლად სავარგისი ნიადაგი აღწევს 120 ათას დესეტინას.

— **წითელი სასადილოები.** გასულ წლის განმავლობაში მუშკოოპმა თბილისში გახსნა 5 წითელი სასადილო, რომელთაც შეუძლიათ დღეში გასცენ 1,600 სადილი.

— პარკის დამზადება. 1924 წ. ცეკავშირმა დაამზადა 85 ათასი ფ. პარკი 1,530,000 მან ღირებულების.

შემთხვევები

— **თევზით მოწამვლა.** 6 აპრილს არტაშ შახნაზაროვს ეკიდნა ქუჩაში ორი ცალი გამხმარი თევზი შამაია. სადილობის დროს როცა თევზს შეჭამენ, მოიწამლენ თვით შახნაზაროვი, მისი მამა კარაპეტა და ქალიშვილი—12 წლისა. უკანასკნელი უკვე გარდაიცვალა. დანარჩენები მოთავსებული არიან ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში.

— 7 აპრილს, დილით არტემ მაისურაძემ მიიტანა თავისი „ტაჩკით“ თივის მოედანზე მტკვარში გადასაყრელად გატეხილი აგურები. როდესაც ცხენი ჩავიდა წყალში „ტაჩკა“ წაიქცა და მტკვარმა გაიტაცა „ტაჩკა“ და ცხენიც.

— 7 აპრილს დილით ციციანთ აღმართიდან გადმოვარდა ვიღაც უცნობი მოქალაქე, რომელიც იქვე გარდაიცვალა. მისი ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

— **ქურდების შეპყრობა.** კომუნარის ქ. № 121 გაქურდული იქნა არტაშ გრიგორიანცის ბინა. მიღებულ ზომებით ქურდები ერმილე აბზიანიძე და სტეფანე რევაზიშვილი შეპყრობილი იქნენ.

— 7 აპრილს მე-7 მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს ორი ქურდი, რომლებსაც აღმოაჩნდათ სხვადასხვა ნაქურდი ნივთები.

— ქურდობა. 7 აპრილს ღამით არსენალის გზატკეცილზე № 31, გაქურდული იქნა ეკატერინე რუხულის ბინა. წაღებულია 58 მან. ნივთები.

კონფექტები ოპიუმით

2 აპრილს სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს ორი ქურდი-რეციდივისტი—ისაია გუიმ ოღლი და ალექსი საკრიკინი, რომელთაც აღმოაჩნდათ სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მაღაზიიდან მოპარული მანუფაქტურა.

როგორც სჩანს, მათ არ მოეწონათ სისხლის სამართლის მილიციის საკანში ჯდომა და გადაწყვიტეს როგორმე თავი დაეხწიათ აქედან. იშოვეს ქაღალდი და ფანქარი და მისწერეს წერილი თავის ცოლებს, რომ მათ გამოეგზავნათ მათთვის ოპიუმიანი კონფექტები, რომლის საშუალებითაც ისინი ფიქრობდენ დარაჯის დაძინებას.

შემთხვევით ეს წერილი ხელში ჩაუვარდა სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გაჩხრიკა ზემოაღნიშნული ქურდების ბინა და გარდა ამ წამლებისა აღმოაჩინა ოთხი პასპორტი სხვადასხვა პირების სახელზე და მრავალი ნაქურდალი ნივთები.

ამ ბარათის საშუალებით შესაძლებელი გახდა აგრეთვე მათი ცოლების ბოროტმოქმედების გამომჟღავნება; მათი ცოლების მეთაურობით მოწყობილი იყო ქურდ-რეციდივისტების „ბრბო“, რომელიც მოქმედობდა ბაქო-განჯაში.

მხეცური მკვლელობა

მიმდინარე წლის მარტის შუა რიცხვებში ვაჭარმა ავან მინასიანცმა ზაქათალში იყიდა 120 ფუთი ბრინჯი, 25 ც. ღორის ტყავი და სხვა ნივთები, რომელთა გამოსაგზავნათ თბილისში მან დაიქირავა აქლემების პატარა ქარავანი.

ქარავანთან ერთად ის გამოემგზავრა სიღნაღისაკენ. საღამოს, როდესაც მინასიანცს ეძინა, მტვირთველებმა ქვის რამოდენიმეჯერ დარტყმით თავი გაუტეხეს მინასიანცს და, წაიღეს რა საქონლის გარდა 1.500 მანეთი, რომელიც მინასიანცს თან ჰქონდა, მიიმალენ სოფლებში.

რამოდენიმე დღის შემდეგ მოკლულის გვამი იპოვეს გამვლელებმა, რომლებმაც ამის შესახებ აცნობეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციას. ამ უკანასკნელის აგენტებმა მოახერხეს ორი მკვლელის დაპატიმრება, რომლებიც გამოტყდენ დანაშაულში.

ფიტ.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობა

სხდომები გაიმართება რუსთაველის თეატრში

(რუსთაველის პროსპ.)

ყრილობის ყველა დელეგატები და სტუმრები თეატრში შედიან **მხოლოდ და მხოლოდ დაწესებული მანდატებით და ბილეთებით**

დელეგატები გადამწყვეტი და სათათბირო ხმით იკავებენ ადგილებს პარტერში, ბენუარის და ბელეტაჟის ლოჟებში და ტრიბუნაზე, სტუმრები კი მეორე და მესამე იარუსების ბალკონზე.

საორგანიზაციო კომისია.

---

10 აპრილს, საღამოს 6 საათზე

(ყოფილი „კადეტთა კორპუსი“, მესანგრეთა ქუჩა № 80, მე-3-ე სართ.)

გაიხსნება

სრულ. საქართველოს დამზღვევი ორგანოების

დაზღვეულთა ქვე-განყოფილებების და პროფორგანიზაციების წარმომადგენელთა დაზღვევის

მესამე კონფერენცია

დღის წესრიგი: 1. რესპუბლიკის სოცდაზღვევის სამმართველოს მოხსენება.

2. შრომის ორგანოები და სოცდაზღვევა.
3. პროფკავშირების როლი და მათი ამოცანები დაზღვევის საქმეში.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. ა) საექიმო-საკონტროლო კომისიები და საექიმო საექსპორტო ბიუროები. ბ) ექიმ-რწმუნებულები. გ) მუშების წინასწარი შემოწმება და საიოლო სამუშაოზე გადაყვანა, დ) სიმულიაცია და კონტროლი.

6) საფონდო-საფინანსო საკითხები.
7) დაზღვეულთა მკურნალობა.
8) პროფილაქტიკა.
9) მოხსენებები ადგილებიდან.

3—2. ნის. 1086. რესპ. სოცდაზღვევის სამმართველო.

„კომუნისტი“-ს

კანტორა

კატეგორიულ წინადადებას აძლევს

დავით ფარნაოზის ძე ქავთარაძეს

გამოცხადდეს კანტორაში ერთ კვირაში

და გაუსწოროს მას ანგარიშები

ხელოვნება

საჩვენებელი კონცერტი სახელმწიფო კონსერვატორიაში.

პროფესორ ტრუსკოვსკის ფორტეპიანოს კლასი ერთ-ერთ საუკეთესო კლასად ითვლება სახელმწიფო კონსერვატორიაში.

პროფესორის პედაგოგიური ცოდნა, მოწაფეების მოხერხებულად შერჩევა და როგორც პირველის, ისე მეორეთა შრომის უნარიანობა მეტად დადებით შედეგებს იძლევა.

რასაკვირველია, შემსრულებლებს ჩვენ ვერ მივუდგებით იმ მოთხოვნილებებით, რომლებსაც უყენებთ სრულიად დამთავრებულ საესტრადო შემსრულებლებს, მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ პროფესორ ტრუსკოვსკის ზოგიერთი მოწაფეები იმდენად მომზადებული არიან, რომ ახლო მომავალში მათ შეუძლიათ საკონცერტო ესტრადებზე გამოსვლა, როგორც დამთავრებულ პიანისტებს.

საანგარიშო კონცერტს პედაგოგიური ხასიათი ჰქონდა და პროგრამაც ამის მიხედვით იყო შედგენილი. დიდ იმედებს იძლევა მცირეწლოვანი ანდრიასოვი, რომელმაც შეასრულა გუმელის კონცერტი. მუსიკალური და დაკვირვებული შემსრულებელია თამამშევა. მოწაფე ქალმა გოკიელოვამ შეასრულა ლისტის ძნელი პოლონეზი; შესრულებაში საჭიროა მეტი სიბრწყინვალე და ტემპერამენტი. გოკიელოვას აქვს პიანისტის ნიჭი.

შესრულების სიმწიფის მხრივ წინ მიიწევს ლოიკო, მაგრამ ბახის ტოკატა მოითხოვს უფრო სტილიურ და აკადემიურ შესრულებას.

უკანასკნელი წლის განმავლობაში თვალსაჩინოთ მიიწევს წინ მოწაფე ეპიტაშვილი. მის მიერ ლისტის პოემის—„იზოლდას სიკვდილი“-ს შესრულებამ საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა. ახალგაზრდა პიანისტი ლამაზად ასურათებს ხმებში იზოლდას ტრაგედიას.

ფირალოვი, რომელმაც შეასრულა შუმანის კარნავალი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნიჭიერი და მომზადებული მოწაფეა. შუმანის სტილი დაცულია.

განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი აქვს ზომმერს. ალბათ, ახალგაზრდა პიანისტი ბევრს მუშაობს და სცდილობს დამთავრებული მხატვრული სახე მისცეს შესრულებას.

კარგად იყო შესრულებული ლისტის „მეფისტო-ვალსი“. ლისტის ეტიუდის „კამპანელა“-ს მხატვრულად გადმოცემა ჯერ-ჯერობით არ ეხერხება ზომმერს.

მშვენივრად შეასრულეს ლოიკომ, ეპიტაშვილმა, ზომმერმა და როსტომბეკომა ორი სიუიტა (არენსკის და რახმანინოვის) ორი როიალისათვის.

პ. გ.

— **ახალი დადგმები რუსთაველის თეატრში.** 24—25 წ. სეზონში რუსთაველის თეატრში ახალ დადგმებზე სულ დაიხარჯა 5,631 მ. 61 კ., აქედან „მათრახის პანაშვიდზე“—537 მ. 71 კ., „ლატავრა“-ზე—1,077 მ. 43 კ., „ვინძორის მხ. ქალები“—883 მ. 23 კ., „სინათლე“-ზე—1,043 მ. 32 კ., „შპიგელმენშ“-ზე—2,089 მან. 92 კ.

— **საქ. კინო-მრეწველობამ** 1922 სექტემბრიდან დღემდე გამოუშვა შემდეგი სურათები: „არსენ ჯორჯიაშვილი“ (13 ცალი), „სურამის ციხე“ (14 ცალი), „წითელი ეშმაკუნები“ (28 ცალი), „მოძღვარი“ (6 ცალი), „მამის მკვლელი“ (17 ც.), „არსენა ყაჩაღი“ (12 ც.), „დაკარგული საუნჯე“ (28 ც.), „სამი სიცოცხლე“ (15 ც.), „თარიელ მკლავაძე“ (10 ც.).

— **ოპერის თეატრში.** დღეს გაიმართება მოზჟუხინის გასტროლი. წარმოდგენილი იქნება: „გოფმანის ზღაპრები“.

დღეს კინოებში

— აპოლო—„იქ, სადაც ვაჟრობენ სულითა და ტანით“.
— არფასტო—„მეპაპიროსე ქალი მოსელპრომიდან“.
— სოლეი—„შემთხვევითი ცოლი“.
— მინიონ—„თეთრების ფრონტის ზურგში“.
— პალასი—„მარკიტანკა სიგარეტ“
— აისი—„ნავთიანი კარიერა“
— თვითმფრინავი—„ცხოვრების საქანელა“.
— თაზის—„მხეცებსა და ცეცხლს შორის“.

ჩვენი სოფლის ჭირვარამი

მახინჯი გლეხკომი

(გლეხკომების რევიზიიდან)

15 მარტს, 1925 წ., თანახმად სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განკარგულებისა, 12 მარტის „კომუნისტში“ მოთავსებული წერილის გამო, მოვახდინე ადგილობრივი კვლევა-ძიება სოფელ ბერბუკის (გორის მაზრა) ყოფილ გლეხკომის მოქმედების შესახებ,

კვლევა-ძიებაში მონაწილეობა მიიღეს:

გორის თემის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბუხრიკიძემ და გორის რაიპარტკომის მდივანმა ამხ. ქლიტაურმა.

კვლევა-ძიებამ დაადასტურა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ცნობები.

გამოირკვა, რომ ბერბუკის გლეხკომს თავისი მოვალეობა არ შეუსრულებია პირნათლად და კეთილსინდისიერათ.

გლეხკომის თავმჯდომარეს **ვასილ რუსიტაშვილს** თავის მოქმედებაში დაუშვია დაუდევრობა და თვითნებობა და თითქმის ყველა საქმეები დანარჩენი წევრების დაუკითხავათ უწარმოებია. გლეხკომის ფონდი—ფული, ხორბლეული და სხვა მის ხელში ყოფილა და თავის ნებაზე უთავბოლოთ უხარჯია. სოფელ ბერბუკის საზოგადო ყრილობაზე გამოირკვა, რომ ვასილ რუსიტაშვილი ადგილობრივ გლეხობაზე ძალმომრეობას იჩენდა, ავიწროებდა მათ, აპატიმრებდა და სხვა, მაგრამ ის ამით არ დაკმაყოფილებულა. მას კომუნისტის სახელი მიუთვისებია და გლეხობას, სოფლისათვის საჭირო, მთავრობისაგან ნება-დართულ თოფიარაღსაც კი ართმევდა და ვინ იცის სად მიჰქონდა. როგორც გამოირკვა, ამ მოვალეობის შესრულება ვასილ რუსიტაშვილისთვის არავის მიუნდვია და მას თავის უფლებებისათვის გადაუჭარბებია.

მიიღო რა მხედველობაში ზემოაღნიშნული, კომისიამ დაადგინა:

აღიძრას შუამდგომლობა იუსტიციის კომისარიატის წინაშე, რათა სოფელ ბერბუკის ყოფილ გლეხკომის საქმე, რომლის შესახებაც გორის მაზრის გამომძიებელი აწარმოებს გამოძიებას, **დაჩქარებული წესით** იქმნეს შესრულებული და გადაცემული გორის სახალხო სასამართლოში საჯაროთ გასარჩევათ.

კომისია დარწმუნებულია, რომ სახალხო სასამართლო ღირსეულათ შეაფასებს ს. ბერბუკის ყოფ. თავმჯდომარის „მოღვაწეობას“ და თანამდებობის ბოროტათ გამოყენებისათვის შესაფერ მსჯავრს დასდებს მას.

ნ. გვანცელაძე.

პროვინციაში

ს. ჩხოროწყუს თემი

(ზუგდიდის მაზრა)

ჩხოროწყუს თემი სამაზრო ქალაქიდან დაშორებულია 25 ვერსით.

ამ სოფელში გასაბჭოების შემდეგ მეურნეობას დაეტყო გამოცოცხლება. ჩხოროწყუს თემი ცენტრია რაიონის, აქ არსებობს ბევრი დაწესებულება, როგორც არის: ფოსტა-ტელეგრაფი, სახალხო სასამართლო, საკრედიტო ამხანაგობა, საექიმო პუნქტი. ამ თემში არსებობს 7 წლედი და შემავალ სოფლებში კი ყველგან 4 წლედი.

კოოპერაცია მუშაობს შეძლების დაგვარად, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს გლეხკაცობის მოთხოვნილებას, კერძო ვაჭრები სარგებლობენ ამით და ადგილობრივ ნაწარმოებს იაფ ფასებში ითვისებენ.

აღმშენებლობითი მუშაობას დიდი ყურადღება ექცევა. გაკეთებული იქნა ორი შენობა: ერთი საავადმყოფოსათვის, მეორე კი რაიმილიციისათვის. არსებობს კლუბი, რომელიც გადაკეთებული იქნა წარსულ წელში.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ყურადღება არ ექცევა ჭაობიან ადგილებს. ამ ადგილებში ზაფხულობით ციებ-ცხელება ფართო ხასიათს ღებულობს. საჭიროა ყურადღების მიქცევა.

ინგურელი.

ტობანიერი

(ქუთაისის მაზრა)

ტობანიერის თემი შესდგება 1650 კომლისაგან, გზები საერთოთ ისეთ ცუდ მდგომარეობაშია, რომ თითქმის არა თუ ეტლებით, არამედ ცხენითაც სახიფათოა მგზავრობა. არსებობს საგზო კომისია, მაგრამ აღნიშნულ გარემოებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. საჭიროა ვისაც ეს ეხება მიაქციოს ყურადღება და საგზო კომისია გამოაღვიძოს.

ნ. სანიკიძე.

ხევის თემი

(გურია)

ხევის თემი გურიის სამხრეთ აღმოსავლეთში მდინარე ბუხაზოურის ხეობაშია მოთავსებული სრულიად დაშორებულია კულტ. ცენტრებს, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დიდ მიღწევებს აქვს ადგილი. სახელდობრ: 7 წლ. შრ. სკოლას (რომელიც დაარსებულია 1916 წელს) არ ჰქონდა თავისი შენობა, 1921 წლიდან კი მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, აიგო სკოლის დარბაზი, რომელიც შეიცავს 8 ოთახს, ქვემო სართულში თავსდება სახალხო სახლი. ამავე დროს აგებული იქნა საკანცელარიო დარბაზი, რომელშიაც მოთავსებულია აღმასკომი, საფერშლო პუნქტი, სამკითხველო, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და სხვადასხვა დაწესებულებანი. გაყვანილი იქნა ტელეფონის ხაზი თემის ყველა სოფლებში (თემი შესდგება 8 სოფლისაგან). დაარსებული იქნა 7 წერ. კით. უც. სალსკოლა, სადაც მსმენელების რიცხვი უდრიდა 346 კაცს. ეხლა გახსნილია მეორე საფეხურის წ. კ. უ. ს. სკოლა, მსმენელების რიცხვი აღწევს 156 კაცამდე.

ზ. მამალაძე.

დაეხმარეთ სოფელ ივანწმინდას

სოფელ ივანწმინდაში, რომელიც მდებარეობს დაბა საჩხერიდან 4—5 ვერსის მოშორებით, მიუხედავათ ცენტრთან (საჩხერე) სიახლოვისა, არავითარი კულტურული მუშაობა იქ არ სწარმოებს.

ამ სოფელში არ არსებობს სკოლა, არც აქვს სამკითხველო. ამიტომ მცხოვრებლები იძულებული არიან თავისი შვილები გზავნონ მეზობელ სოფლის სასწავლებელში, რაც სიშორის გამო ძლიერ გაჭირვებაში აგდებს მოზარდ ახალთაობას. აქაურ გლეხობას არ აქვს საშუალება გაიგოს რამე, თუ რა ხდება ქვეყანაზე, საბჭოთა რესპუბლიკაში და სხვა. კოოპერაციაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ყველაფერ ამ უბედურებასთან ერთად სოფლის შუა გულში არის ტბა, რომლის მეოხებითაც მცხოვრებლები დაავადმყოფებულია მალარიით და ზაფხულში რომ მიხვიდეთ ამ სოფელში, ძალიან იშვიათად შეხვდებით ისეთ კაცს, რომელიც ავად არ იყოს. ერთხან სოფლელებმა მოინდომეს ტბის დაშრობა, მაგრამ მცოდნე პირების უყოლობის გამო ვერ მოახერხეს ეს საქმე.

საჭიროა, როგორც ადგილობრივმა, აგრეთვე უმაღლესმა ხელისუფლებამ გაუწიონ სათანადო დახმარება სოფელს.

კ. ქ—ძე.

პროვინციის ქრონიკა

— **სამხრეთ-ოსეთში** ტელეფონის ქსელის გასაფართოებლად ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეადგინა საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

— **სასკოლო აღწერა.** სენაკის მაზრაში დამთავრდა სასკოლო აღწერა.

— **სენაკის სამაზრო** გლეხკომმა მისწერა სათემო გლეხკომებს, რომ მათ ყოველ სამ თვეში სოფლის ყრილობას ჩააბარონ თავიანთი მუშაობის ანგარიშები.

— **სოფ. შინდისის** გლეხებმა (გორის მაზ.), აღძრეს შუამდგომლობა ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გახსნის შესახებ.

— **გლეხთა სახლი.** სენაკის გლეხკომმა შუამდგომლობა აღძრა სამაზრო აღმასკომის წინაშე გლეხთა სახლისათვის სახლის გადაცემის შესახებ.

— **სოფ. მლაშეში** (ახალციხის მაზ.) ადგილობრივმა გლეხებმა მოაწყვეს წისქვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგი მოათავსოთ:

ჩემდა საუბედუროთ, ვცხოვრობ ტფილისიდან და აგრეთვე სხვა ქალაქებიდან დაშორებულ სოფელში. რუსული გაზეთები და აგრეთვე ქართული აქ არ მოდის და ამიტომ დაგვიანებით ვიგებ მეტად სამწუხარო ამბავს:

მარტის პირველ რიცხვებში გაზ. „ზარია ვოსტოკაში" ეწერია შემდეგი: „სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა აფერისტი ხანაია, რომელიც კრებდა ფულს „ვითომ პოეტ ლ. მაჭავარიანის სასარგებლოთ და ფულს თვითონ ითვისებდა"-ო.

ჩემდა საუბედუროთ მძიმე მატერიალურ მდგომარეობის და ავადმყოფობის გამო, არა მაქვს საშუალება ჩამოვიდე ტფილისში.

ამიტომ გთხოვთ ტფილისის საზოგადოებას აცნობოთ შემდეგი: იანვრის პირველ რიცხვებში მე წერილით მივმართე ჩემს მეგობარს ხანაიას ტფილისში და ვთხოვე, რომ მას ტფილისში გაემართა ჩემს სასარგებლოთ საღამო, რითაც გამიწევდა დახმარებას. ერთი კვირის შემდეგ, მან გამომიგზავნა 40 მ. და მწერდა: „ჩემი ლამაზი საღამო არაფერს მოგვცემს, შეუდექი ჩვენს ამხანაგებსა და ნაცნობებს შორის ფულის შეგროვებას. ჯერ-ჯერობით გიგზავნი 40 მ."

ერთი კვირის შემდეგ კიდევ მომივიდა მისგან 40 მ. და თებერვლის ბოლო რიცხვებში უკანასკნელად მომივიდა 54 მ. ე. ი. სულ 134 მან. ყველა, ვინც პატივს მცემს, მადლობას უცხადებ და აგრეთვე გთხოვთ აცნობოთ, სადაც ჯერ არის, ამის შესახებ, რითაც სიმართლისათვის და ჩემდამი პატივისცემისათვის გამოსარჩლებული ამხ. ხანაია გამოიყვანოთ უხერხულ და მძიმე მდგომარეობიდან.

პოეტი **ლ. მაჭავარიანი.**

ს. მარტვილი.

1925 წ. 5 აპრილი.

ჩვენი ფოსტა.

ჭიათურა, სამთო-მადნეო კავშირს. გაზეთები, რიცხვით 952 ცალი, გეგზავნებათ დაგვიანებით 5 აპრილიდან, რადგან ამ დღეს იყო შეწყვეტილი თქვენთვის გაზეთების გზავნა ამ რაიონიდან „ლევიგატელისაგან". 1-ლი აპრილიდან გამოსული №№, რომლებიც გვქონდა, გამოგიგზავნეთ მაშინვე. გაზეთები გეგზავნებათ 5 აპრილიდან სისტემატიურად.

მცხეთა, ხელისმომწერს მ. გაბელიას. გაზეთი გეგზავნებათ 1-ლი აპრილის №-დან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ცეკას მიერ სოფლად სამუშაოდ მობილიზაციით გაწვეული ამხ., რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა ყრილობაზე დელეგატებით, ვალდებული არიან დღეს, 9 აპრილს, დილის 10 საათზე გამოცხადდნენ ცეკაში ამხ. ქართველიშვილთან თათბირზე.

ს. კ. პ. ცეკას სამდივნოს ბიურო.

დღეს, 9 აპრილს საღამოს სრულ 6 საათზე რემდასის ცეკას ბინაზე დანიშნულია რემდასის ცეკას პრეზიდიუმის სხდომა.

წევრებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

— დღეს, 9 აპრილს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებაში შესდგება მიმღებ კომისიის სხდომა. აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: 1. ლორთქიფანიძე (ცენტრალური საკონტროლო კომისია), 2. ლაშქარაშვილი ვ. (1 რაიონი), 3. მხარეულიშვილი (2 რაიონი), 4. მაიერი (3 რაიონი), 5. მღებრიშვილი (4 რაიონი), 6. [illegible] და 7. [illegible].

ამხანაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

პროფესიული

— საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირის [illegible] განყოფილება ამით აცხადებს კავშირის წევრების ცალკე ერთეულების [illegible] ადგილკომში, ხელ-ახალ აღრიცხვაში გატარების შესახებ, რომ ხელ-ახალი რეგისტრაციის უკანასკნელი დღე დანიშნულია 9-ს მუშათა სასახლის 83 ოთახში საღამოს 6 საათზე. ყველა წევრები, რომლებიც [illegible] აქამომდის არ გამოცხადებულან, კავშირის სარეგისტრაციო განყოფილება აფრთხილებს, რომ ხელ-ახალ რეგისტრაციისთვის სხვა დღე აღარ დაინიშნება.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ნიკოლოზი, ძმები: კირილე, სამსონ, რემანოზი და გიორგი, რძალი ვარვარა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ უდროვოდ მათთვის უძვირფასეს

სერგო ნიკოლოზის ძე
ურუშაძეს

დაკრძალვა და უკანასკნელი გამოთხოვება მოხდება 11 აპრილს, ქ. ლანჩხუთში. 901 1—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები: კესარია პავლეს ასული ბუხრაშვილი და იაგორ ალექსის ძე ბუხრაშვილი, ძმები: ვასილი და შალიკო, დები: ნინო და თამარა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა/წ. აპრილის 7-ს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი და დაუვიწყარი შვილი, მეორესი ძმა

პავლე (პავლუშა) იაგორის ძე
ბუხრაშვილი

გამოსვენება ა/წ. აპრილის 10-ს პარასკევს, 10 საათზე ბინიდან (19 თებერვლის ქ. № 42), პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 ს. 904 1—1

სახელმწიფო ოპერა

კვირას 12 აპრილს

კომპოზიტორ
ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილის
30 წ. მოღვაწეობის იუბილე

1. **აბესალომ და ეთერი**
   3 და 4 მოქმედება.
2. **დაისი**
   1 მოქ.
3. **მილოცვები**

მილოცვების დროს შესრულებულ იქნება იუბილიარის ახალი ნაწარმოებნი და რომანსები

ნ. 1088 5—2

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 9 აპრილს,

მოზუხინის გასტროლი

გოფმანის
ზღაპრები

ნის. 1087. 1—1

ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება ახალი წიგნი ზინოვიევის სახელობის პრაქტიკულ საანგარიშო კურსების მასწავლებლის **ი. მ. გალპერინის**

„საბალანსო-მეტყველების საფუძველი"

კონსპექტიური კურსი ზოგადი ანგარიშ-მეტყველების თეორიის, მეორე შესწორებული გამოცემა (კონსპექტი ზოგადი ანგარიშ-მეტყველების თეორიის) ნ. 1028 5—5

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი

ფასი 1 მ. 50 კ.

დაკვეთა და ცალობით შეძენა მხოლოდ **გაზ. „კომუნისტი"-ს** მთავარ კანტორაში

(რუსთაველის პროსპექტი № 24 მე-2 სართული).

678 5—4. **გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.**

სახელმწ. საბუღალტრო კურსებზე

(ყოფ. პ. ზუბიაძისა და ინწკირველისა)

ახალ მსმენელების მეცადინეობა დაიწყება **10 აპრილს.** კურსებზე ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე (გარდა კვირა-უქმე დღეებისა) 1) **განათლების კომისარიატში** (ოთახი 5) 1—2 საათამდე, 2) **კურსების ბინაზე საღამოს** 5—7 საათამდე. (ყოფილი ქალთა პირველ გიმნაზიის შენობა, კეცხოველის ქუჩა, № 12).

კურსების გამგე
ვ. თაქთაქიშვილი

№ 884 3—3

სამეცნიერო-პოპულარული კრებული

წლიწადი მესამე 1925 წ.

ჩვენი მეცნიერება

წლიწადი მესამე 1925 წ.

1 ნომ. (№ 18 წ. II) გამოდის გაფართოებული პროგრამით

წლიწადში გამოდის 12 ნომერი და ღირს ხელისმომწერთათვის 12 მან. მასწავლ. და სტუდენტ. 8 მან. ხელის მომწერლები იხდიან ნაწილ-ნაწილად მიღებულ №№-ბის საფასურს მხოლოდ კრებულის მიღების შემდეგ ორი თვის განმავლობაში.

კრებული უმთავრეს მიზნად ისახავს ქართველ მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებისა და პოპულიარული გამოკვლევების გამოქვეყნებას.

კრებულში—განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა აგრეთვე უცხოეთის მეცნიერებასაც მიმოხილვის სახით.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე სოციალურ მეცნიერებათ და მოთავსდება წერილები მარქსისტულ მოძღვრებიდან.

კრებულში—იქნება როგორც ორიგინალური ნაშრომები, აგრეთვე თარგმანებიც.

კრებულში—წარმოდგენილი იქნება მეცნიერების შემდეგი დარგები:

— ფილოსოფია, ლოღიკა, სოციოლოგია, პოლიტ. ეკონომია, ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია, ეკონომიური ისტორია (საქართველოს ეკონ. ისტორია), სამართლის თეორია, ქართული სამართლის ისტორია, სახელმწიფო და საერთაშორისო სამართალი, საფინანსო მეცნიერება, სტატისტიკა და სხვა.

— ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, ენათმეცნიერება, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, ისტორია, ისტორიის მეთოდოლოგია. ლიტერატურა, ხელოვნება არქეოლოგია და სხვა.

— მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, მინერალოგია, გეოლოგია, ბიოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოგრაფია, ზოოლოგია, ბოტანიკა, ასტრონომია, სამკურნალო მეცნიერება და სხვა.

— სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკა და მექანიკა, მეტყეობა, მებაღეობა, სამთომადნო და საინჟინრო ხელოვნება.

— ბიბლიოგრაფია, სამეცნიერო მიმოხილვა (უცხოეთისა და საქართველოსი) ქრონიკა და სხვა.

კრებული გარდა საქართ. ყავს წლიური ხელისმომწერლები შემდეგ ქალაქ.: **ბაქოში, კავკავში, როსტოვში, ხარკოვში, მოსკოვში, ლენინგრადში, ტაშკენტში, ძველი ბუხარაში კაგანში (ახ. ბუხ.) და სამარყანდში.** კრებული ვრცელდება აგრეთვე **ბერლინში, პარიზში და ლონდონში.**

თანამშრომელთა საყურადღებოდ: ყოველი ავტორი მიიღებს თავისი წერილის ცალკე ამონაბეჭდს (ან ბროშურის სახით) **60 ცალად,** თუ ავტორი მოისურვებს, ნაცვლად ცალკე **ამონაბეჭდებისა** მიიღებს **ჰონორარს,** ამიტომ რედაქცია თხოვს ავტორებს, წერილების გადმოგზავნისთანავე აცნობოს მას, ცალკე ამონაბეჭდების მიღება სურს მას, თუ ჰონორარის.

თუ რომელიმე ავტორს ან გამომცემელს სურს, რომ რედაქციამ გამოსთქვას თავისი აზრი გამოცემულ წიგნის შესახებ —უნდა გამოგზავნოს ასეთი რედაქციაში ორი ცალად.

მასალები უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: რუსთავ. პრ. № 20. ტელეფ. 9—59.

რედაქტორ-გამომცემელი: **ანდრო [illegible]**

8—6 ნის. 1009.

თბილისის ქალაქის ლომბარდი (ლორის მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 12 აპრილს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოკრულია ლომბარდის დარბაზში.

ნ. 1092 1—1

ახალი აფთიაქები

ახალი აფთიაქები

თბილისის ჯანმრთელობის საფთიაქო განყოფილება

ახალ შენობებში გადაიტანა შემდეგი აფთიაქები:

ტრამვაის (მე-14-ე) სანაპირო ქუჩაზე სახლი № 4.

ტყავის ქარხანასთან არსებული აფთიაქი (ყოფ. ალექსანდროვის) (მე-15 აფთ.) [illegible] ქუჩაზე (ყოფ. ვორონცოვის ქ.) სახ. № 65.

ცენტრალურ სამკურნალოსთან არსებული აფთ. (მე-16-ე) [illegible] ქ. სახ. 3

ზემოხსენებული აფთიაქები ახლად შეკეთებული და საუკეთესოდ მოწყობილია; მათში მოიპოვება ყველა საჭირო წამლეულობა. წამლების გაცემა სწარმოებს როგორც ექიმების რეცეპტით, ისე ცალკე გაყიდვით. წამლები ეძლევა როგორც დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებს, ისე ყველა მოქალაქეებს.

2—2 ნ. 1091

ახალი აფთიაქები

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის
შავი და აზოვის
ზღვების სავაჭრო ბიურო

აცხადებს, რომ თანახმად საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებისა

ოდესაში არსდება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო ბიურო საიმპორტო და საექსპორტო ტვირთების ტონაჟის დასაფრახტავათ.

სავაჭრო კანტორა მუშაობას იწყებს ა/წ. 20 მარტიდან; კანტორა მოთავსებულია ოდესაში, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შენობაში, ლენინის ქ. № 8.

შავი და აზოვის ზღვების სავაჭრო ბიუროს
თავმჯდომარე **მ. ნ. მოლდავსკი.**

ს. ვ. ს. კ. სავაჭრო კანტორის რწმუნებული ამიერ-კავკასიის ნავთსადგურებისათვის **ა. ნედრიტი.**

ცნობებისათვის მიმართეთ: თავისუფლების მოედანი, თამამშევების ყოფ. ქარვასლა, „დობროფლოტის" კანტორა. ნ. 1039 3—2

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის

დადგენილების თანახმად

ოდესის სავაჭრო ბიურო გადაკეთდა სახელით და დაერქვა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შავი და აზოვის ზღვების სავაჭრო ბიურო,

რომლის სამოქმედო ასპარეზად ითვლება შავი და აზოვის ზღვების მთელი სანაპირო რაიონი.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შავი და აზოვის ზღვების სავაჭრო ბიუროს თავმჯდომარე მ. ნ. მოლდავსკი.

ს. ვ. ს. კ. სავაჭრო კანტორის რწმუნებული ამიერ-კავკასიის ნავთსადგურებისათვის ა. ნედრიტი.

ცნობებისათვის მიმართეთ: თავისუფლების მოედანი, თამამშევების ყოფ. ქარვასლა, „დობროფლოტის" კანტორა. ნ. 1038 3—2

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყოროღანოვის ქ. № 20. 9205 25—19

ა/ქ. სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა

ამა წლის 10 აპრილიდან იწყებს

სახელმწიფო-საგარანტიო დაზღვევის ოპერაციებს

დასაზღვევათ მიიღება ქონება (სალარო, საქონლის საწყობი, საქონელი, ძვირფასი განძეულობანი და სხვა) სახელმწიფო, კომუნალური, კოოპერატიული დაწესებულებათა და წარმოებათა და აგრეთვე კერძო პირთა იმ ზარალისაგან, რომელიც შესაძლებელია წარმოსდგეს მათ მოსამსახურეების და მუშების ბოროტ-მოქმედებით, ანუ საქმეებში დაუდევარი დამოკიდებულებით (მოლარეების, ინკასატორების, მეარტელეების, ფულის მთვლელების, ამანათის გამგეების, საწყობის გამგეების, მეკუჭნეების, ექსპედიტორების, რკინის გზის გადამზიდველების, ამკრეფების, ფულის დამტარებლების, ჩამწყობ-შემკვრელების, ამწონლების, აგენტი [illegible] ამსრულებლების, [illegible], გამყიდველების და სხვათა მიერ), რომელთაც მინდობილი ექნებათ დაზღვეული ქონება.

დაზღვევის მიღება და ცნობების გაცემა სწარმოებს ა/ქ. სახელმწიფო-საგარანტიო დაზღვევის განყოფილებაში ალიხანოვის ქ. (სოლოლაკის) ქუჩა № 8, ყოველ დღე 9—3 საათამდე. ტელ. № 15—24.

1—1 ნ. 1093

თბილისის სასაკლაოებმა

გახსნეს მეიდნის ბაზარში [illegible] ქუჩაზე № 2 მაღაზია № 1856, სადაც იყიდება მხოლოდ თვითონ

სასაკლაოების [illegible] ნაწარმოები

მოსახლეობას ყოველ დღე და შეუძლიათ აკმაყოფილონ თავისი მუშტრები იაფ ფასებში და ამასთან საუკეთესო თვისების და სანიტარული ზედამხედველობის ქვეშ დამზადებული ნაწარმოებით, როგორც არიან:

ქაშური
ლორების
ბარკლები,
გვერდები,
მკერდები
და ზეთები,

აგრეთვე სხვადასხვაგვარი ძეხვეულობა და სალტისონი.

ნ. 1090 6—2,

სასაკლაოების დირექცია.

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის). № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისის და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა [illegible]) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—4

დაიკარგა პირადობის მოწმობა გამოცემული [illegible] გამგეობისაგან ა/წ. 16 თებერვალს, № 379, სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 1477 19 იანვარს, 1924 წ. დაქორწინების აქტის ამონაწერი სამტრედიის [illegible] გამოცემული 1924 წლის 6 მარტს და ამიერ-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტისაგან გამოცემული სტუდ. მოწმობა ერთი წლით შეღავათის შესახებ, ნოე გ. [illegible] სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1—1 900

დაიკარგა პირადობის მოწმობა, გაცემული [illegible] ალექსანდრე [illegible] სახელზე და სხვა საბუთები. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 899

დაიკარგა სამხედრო წიგნაკი (მატრიკული) № 2212 და სამხედრო აღრიცხვის ბარათი, სიმონ [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 897

დაიკარგა [illegible] წიგნაკი № 483 [illegible] ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 898

დაიკარგა პირადობის მოწმობა [illegible] ხელმოწერილი [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 896

დაიკარგა კავშირის წიგნაკი [illegible] № 834, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 902

დაიკარგა [illegible] სახელზე მიცემული ქალ. [illegible] № 36. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 903

დაიკარგა სამხედრო [illegible] წიგნაკი № 2334 [illegible] მე-11 [illegible] მოწმობა მე-3 [illegible] სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 893

დაიკარგა პასპორტი [illegible] მოწმობა, [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 895

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საწ. ზოლოტკიძის ქ.